პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 216 (10302) | კვირა, 11 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. პ. ტარასოვმა მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი კ. ადენაუერი (1-ლი გვერდი).

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის დიდ თეატრში (1-ლი გვერდი).

დარბაზობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში (1-ლი გვერდი).

ხო ში მინისა და ფამ ვან დონგის დეპეშა კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინისა და ვ. მ. მოლოტოვისადმი (1-ლი გვერდი).

1905 წლის 29 აგვისტო თბილისში (მე-2 გვერდი).

როცა კრიტიკას ვერ ეტანენ (მე-2 გვერდი).

კოლმეურნეობა აღმავლობის გზაზე (მე-2 გვერდი).

მეტალურგები უზარმაზარ გეგმებს (მე-3 გვერდი).

პიესისა და სპექტაკლის იდეური მარცხი (მე-3 გვერდი).

იალტის მხიარული დღეები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა

სოციალისტური საზოგადოების წარმატებით აშენების შემდეგ საბჭოთა ხალხი შევიდა ისტორიული განვითარების ახალ ფაზაში, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ფაზაში. სოციალიზმის ქვეყნის ადამიანებისათვის კომუნისტური საზოგადოება შორეული ოცნება კი არ არის, არამედ იგი რეალურად ხორციელდება ხალხთა მასების რევოლუციური შემოქმედებით, მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის ყოველდღიური თავდადებული შრომით.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი, ეყრდნობა რა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს, შეგნებულად და გეგმაზომიერად აშენებს კომუნიზმს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩვენში წარმოიშვნენ და განვითარდნენ ისეთი ახალი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი. საბჭოთა პატრიოტიზმი წარმოადგენს საზოგადოებრივ იდეას, რომელიც შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური ბაზისიდან და რომელიც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად გადაიქცა.

საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს თავისი სამშობლო. მშრომელთა თავდადებული, ჭეშმარიტად გმირული მუშაობის ნაყოფია ის, რომ თანდათან ფართოვდება კომუნიზმის საწარმოო-მატერიალური ბაზა, განუხრელი აღმავლობის გზით მიდის სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგი, შეუნელებლად მაღლდება ხალხის კეთილდღეობის დონე. მარტო მძიმე მრეწველობა — მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველი — ახლა თითქმის სამნახევარჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს იძლეოდა. საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1954 წელს წინა წელთან შედარებით 13 პროცენტით, ხოლო 1950 წელთან შედარებით 65 პროცენტით გადიდდა. მძიმე მრეწველობის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე ვითარდება და წინ მიდის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის მუშაკები წარმატებით უზრუნველყოფენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

უაღრესად დიდია სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მიღწევები. ისინი ახარებენ საბჭოთა ადამიანებს, უნერგავენ მათ თავიანთი ძლევამოსილი სამშობლოსადმი სიამაყის გრძნობას. საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ჩვენი მეცნიერების ფასდაუდებელი შრომით პირველად მთელს მსოფლიოში ატომის ენერგია გამოყენებულ იქნა მშვიდობის საქმისათვის, სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის. საწარმოებში, ტრანსპორტზე, საკოლმეურნეო მინდვრებზე მასების თაოსნობისა და გმირული შრომის შედეგად მიღწეულია უდიდესი წარმატებანი. საბჭოთა პატრიოტიზმის საუკეთესო მაგალითია ყაზახეთის, ალტაის მხარის და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში ყამირი და ნასვენი მიწების სწრაფი ათვისება. საბჭოთა ადამიანებმა მტკიცე ნებისყოფა, შეუპოვრობა და შრომითი მამაცობა გამოიჩინეს. გამოეხმაურნენ რა მოწოდებას, რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი გაემგზავრა პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მუშებმა, სპეციალისტებმა, კოლმეურნეებმა, შეიარაღებულებმა მძლავრი ტექნიკით, აითვისეს მიწის უზარმაზარი მასივები და ჩვენს ქვეყანას დამატებით მისცეს მარცვლეულის უხვი მოსავალი.

ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველ კუთხეში გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა. ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები და შახტები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლიანი გეგმების ვადაზე ადრე და ხარისხოვნად შესრულებისათვის. ბევრმა საწარმომ უკვე მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და ახლა ამ საწარმოების მუშათა კოლექტივები იბრძვიან ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის.

უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ცნობას პარტიის XX ყრილობის მოწვევის შესახებ. აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ტალღა, რომელმაც მოიცვა ჩვენი სამშობლოს ყველა საწარმო, მშენებლობა, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა. მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, კოლმეურნეები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ საბჭოთა სამშობლოს ძლიერება.

ქალაქ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მაგალითის მიხედვით თბილისის საწარმოებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. თავიანთ ვალდებულებებს ისინი წარმატებით ახორციელებენ. უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერი მუშაკები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაკები, გამომგონებლები, რაციონალიზატორები გაძლიერებით მუშაობენ ახალი მანქანების შესაქმნელად, მოქმედი მოწყობილობის გაუმჯობესებისა და მოდერნიზაციისათვის, აქტიურად ნერგავენ წარმოებაში მეცნიერულ აღმოჩენებს და ტექნიკურ მიღწევებს, იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესონ საწარმოთა მუშაობა, გააძლიერონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და მატერიალური ბაზა.

საბჭოთა პატრიოტიზმი — საბჭოთა ხალხის განუსაზღვრელი სიყვარულია სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ეს არის მტრისადმი სიძულვილის გამოხატულება. ჩვენი ადამიანების აზრი და გონება მიმართულია იმისაკენ, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მისცენ დედა-სამშობლოს, ფართოდ გავრცელდეს ნოვატორთა ძვირფასი თაოსნობა, დაინერგოს მოწინავე გამოცდილება, აქტიურად იბრძოდნენ ტექნიკური პროგრესისათვის, უძრაობისა და რუტინის წინააღმდეგ, არ მიეცნენ თვითდამშვიდებასა და ყოყოჩობას. მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება, ტექნიკის სრული და სწორი გამოყენება და მისი შემდგომი სრულყოფა, გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინება.

საბჭოთა პატრიოტები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მათი შრომა სოციალისტური ქვეყნის თვითეული ადამიანის ბედნიერი და კულტურული ცხოვრების საწინდარია, რომ ისინი თვითონ განაგებენ საკუთარ ბედს, მართავენ სახელმწიფოს და აშენებენ კომუნიზმს, იცავენ მშვიდობას მთელ მსოფლიოში, ამხნევებენ კაპიტალის ტყვეობაში მყოფ მშრომელებს, უნერგავენ მათ ბრძოლისა და გამარჯვების რწმენას.

საბჭოთა ადამიანების პატრიოტული საქმიანობით აღფრთოვანებული სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები თავდადებული შრომის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ, გმირულად შრომობენ სოციალიზმის ასაშენებლად.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ძალაა, ჩვენი ხალხის უშრეტი ენერგიის წყაროა ლენინის გენიით გაბრწყინებული რევოლუციური თეორია. მარქსიზმ-ლენინიზმი ასწავლის მშრომელებს საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლას, შთააგონებს მშრომელთა ინტერესების ერთიანობას, ზრდის მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, უვითარებს მათ სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობას.

ლენინ — სტალინის პარტიამ შეადუღა მილიონობით საბჭოთა ადამიანის პატრიოტული გრძნობა, შეჰკრა ის ერთიან მძლავრ ძალად, რომელიც მომართულია კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების შესასრულებლად.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

10 სექტემბერს, დილის 10 საათზე მოსკოვის დროით, გაიმართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მეორე სხდომა.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ნ. ა. ბულგანინის წინადადებით, სხდომებზე რიგრიგობით თავმჯდომარეობენ ორივე დელეგაციის მეთაურები. დღევანდელ სხდომას თავმჯდომარეობდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერი დოქტორი კ. ადენაუერი.

სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა პირდაპირი დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ, აგრეთვე კულტურული ურთიერთობისა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის და სხვა საკითხებისა, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

სხდომაზე განცხადება გააკეთა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა. შემდეგ განცხადებანი გააკეთეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, კანცლერმა კ. ადენაუერმა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. ფონ ბრენტანომ. ამის შემდეგ გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი. შემდეგ განცხადება გააკეთა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანმა ვ. ჰალშტაინმა.

სხდომის დასასრულს გადაწყდა — დელეგაციებს შორის აზრთა გაცვლა საერთო საკითხებზე მიჩნეულ იქნას დამთავრებულად. ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს დაევალათ შეუდგნენ კონკრეტულ წინადადებათა მომზადებას აზრთა მომხდარი გაცვლის გათვალისწინებით.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის დიდ თეატრში

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია 10 სექტემბერს სსრ კავშირის დიდ თეატრში დაესწრო ს. პროკოფიევის ბალეტს „რომეო და ჯულიეტა“.

ლოჟებში იყვნენ ფედერალური კანცლერი დოქტორი კ. ადენაუერი და დელეგაციის წევრები: დოქტორი გ. ფონ ბრენტანო, დოქტორი ვ. ჰალშტაინი, დოქტორი გ. გლობკე, გ. ბლანკენჰორნი, დოქტორი ვ. გრევე, დოქტორი გ. რაინჰარდტი, დოქტორი გ. ვან შერპენბერგი, დოქტორი გ. ფონ ტრიუტჩლერი, ფ. ფონ ეკარდტი, დოქტორი ე.-გ. მორი, დოქტორი ფონ ვალტერი, დოქტორი უ. მიულერი, დოქტორი გ. კოხი, აგრეთვე დელეგაციის თანმხლები პირები: კ. არნოლდი, კ.-გ. კიზინგერი და კ. შმიდი.

სტუმრებთან ერთად სპექტაკლი ნახეს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრებმა: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა, ვ. მ. მოლოტოვმა, მ. გ. პერვუხინმა, ი. გ. კაბანოვმა, ვ. ს. სემიონოვმა.

მაყურებელთა დარბაზში გამოკიდებული იყო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები. სპექტაკლის დაწყების წინ დიდი თეატრის ორკესტრმა შეასრულა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. პ. ტარასოვმა მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი კ. ადენაუერი

10 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. პ. ტარასოვმა მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი დოქტორი კ. ადენაუერი.

დოქტორ კ. ადენაუერს ახლდნენ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი გ. ფონ ბრენტანო, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი დოქტორი ვ. ჰალშტაინი, ფედერალური კანცლერის კანცელარიის სტატს-მდივანი დოქტორი გ. გლობკე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი დესპანი დოქტორი ე.-გ. მორი.

დოქტორ კ. ადენაუერთან მ. პ. ტარასოვის საუბარს ესწრებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი. (საკდესი).

დეპეშა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ნება გვიბოძეთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხისა და მთავრობის სახელით, გადმოგცეთ ჩვენი დიდი მადლობა თქვენ, ამხანაგო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეე, თქვენ, ამხანაგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეე, თქვენ, ამხანაგო საგარეო საქმეთა მინისტრო, და მთელ საბჭოთა ხალხს, რომლებმაც მისალოცი დეპეშა გამოგვიგზავნეთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 10 წლისთავის გამო.

ვიეტნამელი ხალხი უსაზღვროდ მადლობელია საბჭოთა ხალხისა იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც იგი უწევდა ვიეტნამელ ხალხს დამოუკიდებლობისათვის მისი ბრძოლის პერიოდში, და იმ დახმარებისათვის, რასაც იგი გულწრფელად გვიწევს ახლა ომის წლებში დაზარალებული ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის აღდგენისა და განვითარების საქმეში. ეს უანგარო და დიდსულოვანი დახმარება ვიეტნამელ ხალხს აღაფრთოვანებს ჟენევის შეთანხმებათა მტკიცედ შესრულებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნის ერთიანობის განხორციელების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად.

ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ საბჭოთა ხალხს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით მოიპოვოს ახალი დიდი გამარჯვებანი კომუნიზმის აშენების საქმეში და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ხო ში მინი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი
ფამ ვან დონგი.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 5 სექტემბრის ცნობებით).

სიმინდის აღება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა წელს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში უნდა აიღონ 19.573 ჰექტარი სიმინდი. 5 სექტემბრისათვის აღებული იყო 1.173 ჰექტარი, ანუ გეგმის 6 პროცენტი. დიდ ფართობზე — 238.921 ჰექტარზე უთესიათ კოლმეურნეობებს სიმინდი, რომელიც სრულ სიმწიფეში უნდა იქნას აღებული. სიმინდის აღება დღითიდღე ჩაღდება. სექტემბრის პირველ ხუთეულში აღებულია 675 ჰექტარი სიმინდი. სულ კი 5 სექტემბრისათვის აღებული იყო ამ სტადიაში 1.534 ჰექტარი, რაც გეგმის 0,6 პროცენტს შეადგენს.

სიღნაღის რაიონში სრულ სიმწიფეში აღებულია 734 ჰექტარი სიმინდი, თეთრი წყაროს— 339, წითელწყაროს — 127, კაჭრეთის — 84, გარეუბნის — 73, საგარეჯოს — 65, ბოლნისის რაიონში — 50 ჰექტარი. ამ სტადიაში სიმინდის აღება დაწყებული იყო აგრეთვე მახარაძის, მცხეთის, მარნეულის, გურჯაანის, ყვარლის, კასპის რაიონებში.

რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში ყველაზე მეტი ფართობი — 347 ჰექტარი ჰქონდა აღებული წითელწყაროს რაიონს, შემდეგ მახარაძეს (173), გარეუბანს (118), ბოლნისს (93), გორს (78), აჭარის ასს რესპუბლიკას (63 ჰექტარი) და ა. შ.

სრული სიმწიფის სიმინდის აღებას არ შესდგომია რესპუბლიკის 33 რაიონი, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს დაბალი ზონის 6 რაიონი — თელავი, ახმეტა, ლაგოდეხი, ქარელი, გორი, გარდაბანი, დასავლეთ საქართველოს მეტი წილი რაიონები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკები.

თამბაქოს შეტეხვა

წელს რესპუბლიკაში შეტეხილ უნდა იქნას 154.400 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. 5 სექტემბრისათვის ფაქტიურად შეტეხილი იყო 83.252.633 ზონარმეტრი ნედლეული.

თამბაქოს წარმოების ნახევარზე მეტი მოდის აფხაზეთზე, სადაც წელს უნდა შეტეხონ 83.200.000 ზონარმეტრი თამბაქო. შეტეხილია 43.040.600 ზონარმეტრი (51,7 პროცენტი). ლაგოდეხის რაიონში, სადაც შეტეხილია 16.346.395 ზონარმეტრი თამბაქო, გეგმა შესრულებულია 58,4 პროცენტით, მარნეულის რაიონში — 57 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 54,8 პროცენტით. ყველაზე დაბალია შეტეხვის ტემპი ბოლნისის რაიონში, სადაც გეგმა 42,2 პროცენტით ორის შესრულებული.

კარტოფილის ამოღება

წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ამოღებულ უნდა იქნას 23.557 ჰექტარი კარტოფილი. ამოღებულია 1.796 ჰექტარი, გეგმის 7,6 პროცენტი.

მეკარტოფილეობის ძირითად რაიონებს (წალკას, ახალქალაქს) 5 სექტემბრისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ ჰქონდათ. მხოლოდ 9 ჰექტარი კარტოფილი იყო ამოღებული მეკარტოფილეობის ერთ-ერთ ძირითად რაიონში — დმანისის რაიონში. ქორელის რაიონში ამოღებულია 114 ჰექტარი, გორის — 115, თეთრი წყაროს — 186, კაჭრეთის — 109, მარნეულის — 132, ბოლნისის — 146, საგარეჯოს — 85, გარდაბნის — 75, სიღნაღის —84, კასპის რაიონში — 59 ჰექტარი და ა. შ. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ამოღებულია 226 ჰექტარი, ანუ გეგმის 59,9 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 55 ჰექტარი.

მზესუმზირას აღება

5 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში აღებული იყო 9.739 ჰექტარი მზესუმზირა — გეგმის 55,6 პროცენტი.

აღმოსავლეთ საქართველოს 12 რაიონიდან, სადაც ეს კულტურა მოჰყავთ, მზესუმზირის აღებას არ შესდგომიან მხოლოდ გარდაბნის რაიონში.

ვურჯაანის რაიონში მზესუმზირას აღების გეგმა შესრულებულია 87,1 პროცენტით, წითელწყაროს — 71,1, სიღნაღის — 66,7, კაჭრეთის — 58,3, თელავის — 33,8, საგარეჯოს —25,8, ახმეტის — 25,2, ლაგოდეხის — 22, გარეუბნის — 17,8 და თეთრი წყაროს რაიონში — 9,3 პროცენტით.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — თავისუფლების დღის გამო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში კ. ლუკანოვმა 9 სექტემბერს დიდი დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. გ. ბაკაევი, ვ. პ. ბეშჩევი, ფ. დ. ვარაკსინი, კ. პ. გორშენინი, პ. ვ. დემენტიევი, ა. გ. ზვერევი, ი. გ. კაბანოვი, ს. ნ. კრუგლოვი, პ. ი. პარშინი, კ. დ. პეტუხოვი, ს. მ. ტიხომიროვი, დ. ფ. უსტინოვი, ზ. ა. შაშკოვი, პ. ა. იუდინი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ფ. პოპოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ს. ს. ბირიუზოვი, ს. მ. ბუდიონი, ავიაციის მარშლები ს. ფ. ჟავორონკოვი, ვ. ა. სუდეცი, ადმირალი ს. ე. ზახაროვი, არმიის გენერლები გ. კ. მალანდინი, ი. ა. სეროვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გენერალ-პოლკოვნიკები ი. პ. გალიცკი, ნ. ი. გუსევი, თ. თ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრთა მოადგილეები ი. გ. ბოლშაკოვი, მ. რ. კუზმინი, პ. ვ. ლებედევი, ა. ი. ნაზაროვი, ნ. ტ. ფედორენკო, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეები ნ. ა. სმელოვი და ა. ნ. ლავრიშჩევი, რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ტ. მ. ზუევა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები მ. ვ. ზიმიანინი, მ. ა. კოსტილევი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ა. ა. სურკოვი, სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის თავმჯდომარე ა. ს. გუნდოროვი, საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარე გ. ა. მიტერევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გაგგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი.

სტუმართა შორის იყვნენ მრეწველობის ნოვატორები, საბჭოთა მეცნიერები, მწერლები, მუსიკოსები, მსახიობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს, საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები: შვეიცარიისა — რ. რ. სულმანი, ბირმის კავშირისა — მონგ ონი, იტალიის რესპუბლიკისა — მ. დი სტეფანო, საფრანგეთისა — ლ. ჟოქსი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ვ. ლევიკოვსკი, ინდოეთის რესპუბლიკისა — კ. პ. შ. მენონი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა—ი. ვოშაგლიკი, არგენტინისა — ლ. ბრავო, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — მ. პრიფტი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა — დ. ვიდიჩი, მექსიკისა — ა. დე რი.ზენცვეიგ დიასი, ნორვეგიისა — ე. ბროდლანდი, ინდონეზიის რესპუბლიკისა — სუბანდრიო, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. რაბი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლუ სიაო, ისრაელის სახელმწიფოსი — ი. ავიდარი, ეგვიპტისა — მ. ა. ელ კუნი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ი. კენიგი, ბელგიისა — ვ. ლორიდანი, ნიდერლანდისა — დ. ი. ფონ ბალუსეკი; საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები: ტაილანდისა — შ. სრესტაპუტრა, ისლანდიისა — პ. ტორსტეინსონი, ლიბანისა — ა. ნაჟარი, დანიისა—ა. მერკი; საქმეთა დროებითი რწმუნებულები: ირანისა — ა. ეთესამი, პაკისტანისა — მ. აჰმადი, თურქეთისა — დ. ტუნალიგილი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. კოვაჩი, ავსტრიისა — გ. გრუბმაირი, საბერძნეთისა — გ. დ. კალუცისი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — ლ. ტოიბო, კანადისა—ჯ. ჯ. მ. კოტე, ფინეთისა — ტ. კეკონენი, ლუქსემბურგისა — ა. ლაბოირი, ეთიოპიისა — კ. ფ. შიფერაუ, შვეიცარიისა — რ. ხუნციკერი; საელჩოთაგან: დიდი ბრიტანეთისა — ს. კ. პაროტი, ავღანეთისა — ა. კაიუმი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — პაკ დოკ ხვანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ტო კუანგ დაუ.

დარბაზობის დროს წარმოითქვა სიტყვები.

დარბაზობამ გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს წვეულადობის წლიური გეგმა

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა წველადობის წლიური გეგმა შეასრულეს. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 666 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ლიტრისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1 ოქტომბრამდე თვითეულ საფურაქე ძროხაზე გეგმის გადამეტებით მოწველონ 100 ლიტრი რძე.

ავანსი შრომადღეებზე

ოჩამჩირე, 10 სექტემბერი. (საკდესი). სოფელ ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალია. მარტო მეჩაიეობიდან კოლმეურნეობა 5 მილიონი მანეთის მიღებას ვარაუდობს.

ახლა აქ მიმდინარეობს ავანსების გაცემა შრომადღეებზე. მოწინავე კოლმეურნის ტ. კვიწინიას ოჯახმა უკვე მიიღო ავანსად 10 ათას მანეთზე მეტი, ხოლო კოლმეურნე ც. კვიწინიას ოჯახმა — 15 ათასი მანეთი. შრომადღეებზე მიღებული თანხებით ბევრი კოლმეურნე ახალ სახლს იშენებს.

1905 წლის 29 აგვისტო თბილისში

1905 წლის იანვრიდან განვითარებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ თავიდანვე დააყენა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების ამოცანა. „9 იანვრიდან დაწყებული, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მუშათა მოძრაობა ჩვენს თვალწინ სახალხო აჯანყებად იზრდება“ (თხზ. ტ. 8, გვ. 165). პარტიის მესამე ყრილობამ, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჩატარდა, ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების უმნიშვნელოვანეს საშუალებად ხალხის შეიარაღებული აჯანყება მიიჩნია და მისი პრაქტიკულად მომზადება პარტიის მთავარ ამოცანად დასახა.

საქართველოს ბოლშევიკების მთელი მუშაობა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით წარიმართებოდა ვ. ი. ლენინის მითითებათა და პარტიის მესამე ყრილობის დადგენილებათა განსახორციელებლად. სტატიაში „შეიარაღებული აჯანყებისათვის პრაქტიკულ მზადებას. „ჩვენი კომიტეტები, — წერდა სტალინი, — ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ხალხის შეიარაღებას“ (თხზ. ტ. 1, გვ. 128).

მენშევიკები შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგი იყვნენ. ისინი ამაკრად ღალატობდნენ მუშათა კლასს და მას ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კავშირისაკენ მოუწოდებდნენ. 1905 წლის ზაფხულში ქართველმა მენშევიკებმა ფართო კამპანია გაიჩაღეს საერობო ყრილობის მოწვევისა და ბულიგინის სათათბიროს არჩევნებში მუშათა მასების ჩაბმისათვის, რათა ჩამოეცილებინათ მათი ყურადღება შეიარაღებული აჯანყების მზადებისაგან.

მენშევიკების ამ მოღალატური და გამცემლური ტაქტიკის შედეგი იყო მეფის მთავრობის აგენტების მიერ 1905 წლის 29 აგვისტოს (11 სექტემბერს) ქალაქის თვითმმართველობის შენობაში უიარაღო მუშების მუხანათური დახვრეტა.

25 აგვისტოს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოწვეულ სხდომაზე ხმოსნებს უნდა ემსჯელათ კავკასიაში ერობის შემოღების საკითხზე. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, უმთავრესად მუშებით. ხმოსნებმა მოიწადინეს ხალხის გარეკვა, მაგრამ ვერ შეძლეს და თვითონ დატოვეს დარბაზი. ხალხმა აირჩია თავმჯდომარე და გახსნა კრება. კრებას ესწრებოდნენ ბოლშევიკების წარმომადგენელნიც, რომელთა მიზანი იყო ემხილებინათ მუშათა მასების წინაშე მეფის მთავრობის ხრიკები და მენშევიკების ანტიპროლეტარული ტაქტიკა. ბოლშევიკებმა მოუწოდეს მასებს ბოიკოტი გამოეცხადებინათ ერობისათვის და აქტიური მზადება ეწარმოებინათ შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობის დასამხობად.

ამ დარბაზში შემდეგ დღეებშიც იკრიბებოდა ხალხი და მართავდა კრებებს. მეფის ადგილობრივი ხელისუფლება დიდ მზადებას შეუდგა, რათა ანგარიში გაესწორებინა რევოლუციური მასებისათვის. 29 აგვისტოსათვის ქალაქის ხმოსნებს დანიშნული ჰქონდათ კრება, სადაც უნდა ემსჯელათ ბულიგინის სათათბიროს საკითხზე. მენშევიკებმა მოუწოდეს მუშებს დასწრებოდნენ ამ კრებას და ხმოსნებთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ამ საკითხის განხილვაში.

29 აგვისტოს (11 სექტემბერს) საღამოს 8 საათისათვის ქალაქის თვითმმართველობის შენობას დიდძალი ხალხი მიაწყდა, უმთავრესად მუშები. დარბაზის კარი დაკეტილი დახვდათ, მაგრამ ხალხი ძალით შეიჭრა შიგ. ხალხის ასეთი მოზღვავებით (2.000-მდე კაცი) დამფრთხალი ხმოსნები კრებაზე არ გამოცხადდნენ. მუშებმა აირჩიეს თავმჯდომარე და მოითხოვეს ემსჯელათ ბაქოს ამბებზე (ქ. ბაქოში მეფის მთავრობის აგენტების პროვოკაციით 1905 წლის 20-27 აგვისტოს ხდებოდა სომეხ-თათართა სისხლიანი შეტაკებები, რამაც ბევრი მშრომელი იმსხვერპლა). ბოქაულმა ხალხს გამოუცხადა: „დაშალენითო“, აღელვებულმა მუშებმა უპასუხეს: „ძირს პოლიცია“, „ძირს თვითმპყრობელობა“. ამავე დროს გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით შენობას 500-მდე კაზაკი შემოერტყა. მათი ნაწილი დარბაზში შეიჭრა. კაზაკების დანახვაზე ხალხი შეჩოჩქოლდა და დარბაზიდან გასასვლელად მოემზადა. ამ დროს სროლის ხმა გაისმა. თავზარდაცემული ხალხი კარისაკენ გაეშურა, მაგრამ იგი დაკეტილი დახვდათ. კაზაკებმა ჩააქრეს სინათლე და შეუდგნენ უიარაღო ხალხის ხოცვა-ჟლეტას. დაჭრილ-დახოცილთა სისხლით იყო მორწყული თვითმმართველობის შენობა, ახლო მდებარე ქუჩები და მოედანი. მოკლულ იქნა 60-ზე მეტი კაცი. საავადმყოფოში 100-ზე მეტი დაჭრილი მიიყვანეს, ბევრი დაჭრილი მოქალაქე მახლობელ შენობებში ან თავიანთ ბინებში მოათავსეს. თბილისი ამ დღეს სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. ქუჩებში დადიოდნენ პატრულები, ხიდებზე და შესახვევებში ჯარისკაცები იყვნენ ჩაყენებულნი. რევოლუციური მოძრაობის ბევრი აქტიური მონაწილე დააპატიმრეს.

იმავე ღამეს ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაცია „სისხლი იღვრება, ვემზადოთ აჯანყებისათვის!“, რომელიც ამხილებდა ცარიზმის ამ სისხლიან ბოროტმოქმედებას და ბრძოლის გაძლიერებისაკენ მოუწოდებდა პროლეტარიატს.

— „ჩვენ ვერ დავიხვევთ უკან, — ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — ჩვენ ვერ დავუშვებთ დრობას! სისხლი სისხლისათვის და სიკვდილი სიკვდილისათვის — ინ რით უნდა ვუპასუხოთ ჯალათებს. შეიარაღება და სისხლის აღება! გაუმარჯოს აჯანყებას! — აი როგორი უნდა იყვეს ჩვენი ლოზუნგები, ამხანაგო მუშებო“.

მეორე დღეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა ბიულეტენი „29 აგვისტოს ამბების გამო“. ორივე პროკლამაციის ტექსტი მთლიანად გადაიბეჭდა ლენინურ გაზეთ „პროლეტარში“, რითაც თბილისში მომხდარი სისხლიანი დარბევის ამბავი ცნობილი გახდა მთელი ქვეყნისათვის.

თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში იბეჭდებოდა და ფართოდ ვრცელდებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ 29 აგვისტოს მომხდარი ამბების შესახებ გამოცემული სხვა პროკლამაციები. „რევოლუცია მხოლოდ იარაღით გაიმარჯვებს და ჩვენ ყოველგვარი საშუალება ვიხმაროთ მალე ავუშვათ შეიარაღებული აჯანყების დროშა!“ — ნათქვამი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მიერ 1 სექტემბერს გამოცემულ პროკლამაციაში.

მეფის მთავრობის სატრაპებს ეგონათ, რომ ასეთი სისხლიანი დარბევით შეძლებდნენ თბილისის მშრომელთა დაშინებას და რევოლუციური მოძრაობის ზრდის შეჩერებას. მაგრამ 29 აგვისტოს სისხლისღვრამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, დიდმა მღელვარებამ მოიცვა მშრომელი მასები. პროტესტის ნიშნად და დახოცილთა ხსოვნის აღსანიშნავად 1 სექტემბერს თბილისში მოეწყო საყოველთაო გაფიცვა. დილიდანვე დაკეტილი იყო ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი, ბანკები, მაღაზიები, რესტორანები. არ მუშაობდა არცერთი ქარხანა, ფაბრიკა, სახელოსნო. შეწყვეტილი იყო მუშაობა სტამბებშიც. შეჩერდა ტრამვაისა და ეტლების მოძრაობაც. დილის 9 საათზე მუშაობა შეწყვიტეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოსა და დეპოს მუშებმა, სადგურ თბილისის მემანქანეებისა და მათი თანაშემწეების გაფიცვის გამო შეწყდა მატარებლების მოძრაობა.

ამავე დროს საყოველთაო გაფიცვები მოხდა ქუთაისში, ჭიათურაში, სოხუმში, გორში, ცხინვალში, სიღნაღში, ოზურგეთში, ყვირილაში, ახალსენაკში, ფოთში, სამტრედიაში. მშრომელთა საპროტესტო გამოსვლები მოეწყო ბაქოში, კავკაზში და სხვა ქალაქებში.

29 აგვისტოს სისხლიანმა დღემ მასების დიდი აღშფოთება და სიძულვილი გამოიწვია მეფის თვითმპყრობელობისადმი. ჩატარებულმა საპროტესტო გაფიცვებმა გააძლიერა მშრომელთა საბრძოლო სულისკვეთება და დაარწმუნა ისინი შეიარაღებული აჯანყების მომზადების აუცილებლობაში.

ს. ბერიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

გორი. წარმატებით მუშაობს გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი წლიური გეგმის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად. **სურათზე:** დები კუზნეცოვები, რომლებიც დაწინაურდნენ საკონსერვო ქილების დამზადებაში.
ფოტო შ. კუკულავისა.

საშეფო ორგანიზაციის დახმარებით

ზნაური. („კომუნისტის“ კორ.). მიმდინარე წელს სასილოსე ორმოების მშენებლობის საქმეში ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევა იკისრა ავტოტრანსმშენის № 6 ტრესტის თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ (ტრესტის მმართველი ამხ. შ. შალიკაშვილი, სამმართველოს უფროსი ამხ. ი. აფხაზავა).

აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეადგინა კოლმეურნეობებში მუშაობის ზუსტი გრაფიკი, გამოჰყო მმენებლობისათვის საჭირო მანქანები — ექსკავატორი, ბულდოზერი, სკრეპერი, ავტომანქანები, ადგილებზე მიავლინა საუკეთესო მუშაკები და ერთი თვის განმავლობაში, დაწესებულ ვადაზე 10 დღით ადრე, უზრუნველყო ზნაურის რაიონის 21 კოლმეურნეობაში მნიშვნელოვან სამუშაოთა შესრულება.

სასილოსე ტრანშეების გათხრის მიზნით მთლიანად შესრულებულ იქნა მიწის სამუშაოები 9.150 კუბმეტრის რაოდენობით, გაიზიდა ორმოების გათხრის დროს ამოღებული მიწა 6.100 კუბმეტრის რაოდენობით, მოპირკეთებულ იქნა სასილოსე ორმოები 936 კუბმეტრის რაოდენობით, ამ მიზნით ჩაწყობილია 320 კუბმეტრი ბეტონი, დანარჩენი ორმოების მოპირკეთებისათვის საჭირო მასალები ადგილზე საკმაო რაოდენობით იქნა მიზიდული.

საშეფო ორგანიზაცია რაიონის კოლმეურნეობებს დაეხმარა ხე-ტყით, აგრეთვე ადგილზე მიუზიდა ფონდირებული მასალები.

ციტრუსოვანთა პლანტაციებში

ბათუმი. (საკ. კორ.). მახვილაურის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობას 207 ჰექტარი მიწა აქვს. აქედან ნახევარზე მეტი ციტრუსოვანთა პლანტაციებს უკავია. გარდა ამისა, მეურნეობას აქვს 12 ჰექტარი ბოსტანი, რამდენიმე ჰექტარი ჩაის, სუბტროპიკული ხურმის და სხვა კულტურების პლანტაციები.

წელს მეურნეობის პლანტაციებში ყველა სახის სამუშაო თავის დროზე და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შესრულეს. ამის შედეგად მოსავალს კარგი პირი უჩანს.

საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა, რომლებიც გულდასმით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. მათ გადაწყვეტეს გეგმით გათვალისწინებული 3 მილიონ 650 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფის ნაცვლად წელს მოკრიფონ და საბელმწიფოს ჩააბარონ 4 მილიონი ცალი ნაყოფი.

ციტრუსოვანთა მაღალი მოსავლის მოყვანისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს აგრონომებმა მ. ზუმბურიძემ, ბ. გოლაძემ, მეხაღე-მუშებმა ო. პოპოვამ, მ. საენკომ, ა. მაკავეიმ, ა. ჩუხანოვსკიმ, მეხოსტნე ბრიგადირმა ა. გიგინეიშვილმა, მუშებმა ვ. ტოლკაჩოვამ და ვ. ვალოშინამ.

ჯილდო სკოლების სანიმუშოდ მომზადებისათვის

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ბუკისციხის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული სკოლები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს, დროზე შეაკეთეს სკოლების შენობები, საკმაო რაოდენობით შეიძინეს სასწავლო ნივთები და ხელსაწყოები, ზამთრისათვის მოიმარაგეს შეშა.

სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების საქმეში აქტიური დახმარება გაუწია სასოფლო საბჭომ, რისთვისაც სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე შ. კეკელიძე) ამ დღეებში გადაეცა პარტიის ჩოხატაურის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

როცა კრიტიკას ვერ ი[illegible]

პარტიის XIX ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ იქ, სადაც კრიტიკასა და თვითკრიტიკას სდევნიან, სადაც სუსტად არის განვითარებული ქვემოდან კრიტიკა, იქ აუცილებლად წარმოიშობა მახინჯი მოვლენები, როგორიც არის ბიუროკრატიზმი, სახელმწიფო აპარატის ცალკეული რგოლების ლპობა და გახრწნაც კი.

ამ წერილში სწორედ ასეთ მახინჯ მოვლენაზე გვექნება საუბარი.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევის ხრუშჩოვის სახელობის 700-კომლიანი კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია 9 წევრისაგან შედგება. მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, ორგანიზაციას შეეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა საკოლმეურნეო ცხოვრებაში, მაგრამ მუშაობის არასწორმა წარმართვამ მოაღუნა კომუნისტების აქტივობა.

როგორც გამოირკვა, პარტიულ ორგანიზაციაში პატივს არ სცემენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, განზრახ უვლიან გვერდს ყოველგვარი ნაკლოვანებების მხილებას. პარტიული ორგანიზაცია იქამდე დაეშვა, რომ კოლმეურნეობის გადაგვარებული თავმჯდომარის დავით მჭედლიძის ნების აღმსრულებელი გახდა.

პარტიის წევრი ნიკოლოზ მჭედლიძე ხშირად გამოდიოდა კრიტიკით პარტორგანიზაციის კრებებზე, ამხილებდა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის სერიოზულ ჩავარდნებს, მაგრამ ამისათვის მას „ინტრიგანი“ შეარქვეს და დევნა დაუწყეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის დ. მჭედლიძის ამორალური, ხულიგნური საქციელის შესახებ სხვა კოლმეურნეებიც გამოდიოდნენ. წლების განმავლობაში წერდნენ საჩივრებს პარტიის ზესტაფონის რაიკომის მისამართითაც, მაგრამ რაიკომი უპრინციპოდ, უყურადღებოდ მოეკიდა ქვემოდან მომდინარე სიგნალების შემოწმებას და მათ დასაზუსტებლად და ზომების მისაღებად არაფერი გააკეთა.

ბოსლევის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში კი მართლაც არანორმალური მდგომარეობაა შექმნილი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. მჭედლიძემ სავსებით დაკარგა ავტორიტეტი კოლმეურნეთა შორის იმის გამო, რომ თავის მუშაობაში ადმინისტრირების, დაშინების „მეთოდს“ მიმართავს. მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კოლმეურნეობის წევრებს კომკავშირელ თენგიზ პლატონის-ძე მახათაძეს, ვერა ტარასის ასულ მჭედლიძეს, სერგო ლაბაძეს, ეორა ჭუმბურიძეს, შალვა ცუცქირიძეს, გალინა მახათაძეს, ხულიგნურად დაესხა თავს სალიეთის მარმარილოს კარიერის უფროსს ინჟინერ ხვედელიძეს.

დ. მჭედლიძეს, იგი კოლმეურნეობასაც რომ არ ხელმძღვანელობდეს, ეპატიება თუ არა როგორც პარტიის წევრს, როგორც ადამიანს საკუთარი ოჯახის დაშლა? რაიონულმა კომიტეტმა იმის გამო, რომ ის დღედაღამ დასდევდა კოლმეურნეობის აგრონომს დარეჯან მახათაძეს, „ქმედით“ ზომას მიმართა — მახათაძე სხვა კოლმეურნეობაში გადაიყვანა სამუშაოდ და, ამრიგად, „შეყვარებულთა“ დაშორებით ამოიწურა საკითხი.

საკვირველი არ არის, რომ დაუსჯელად დატოვებულ დ. მჭედლიძეს ამ შემთხვევაში მისი „აქტივიდან“ მიმბაძველები გამოუჩნდნენ. კოლმეურნეობის წევრებმა კ. კახნიაშვილმა, შ. გურგენიძემ, ა. მჭედლიძემ, ა. აბუთიძემ, ნ. ჭუმბურიძემ და სხვებმა დანაშაულებრივად დაანგრიეს ოჯახები— მიატოვეს ცოლშვილი.

კოლმეურნეობაში ადგილი აქვს აგრეთვე მთელ რიგ დარღვევებს. გაიჩეხა და ნადგურდება საკოლმეურნეო ტყის მასივი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამას დამშვიდებით უცქერის, და ნაცვლად იმისა, რომ ზომები მიიღოს, მარტო საკუთარ კეთილმოწყობაზე და კომბინაციებზე ფიქრობს.

დ. მჭედლიძემ და კოლმეურნეობის აგრონომ ს. სუქნიძემ ამას წინათ მეტად საეჭვო ოპერაცია გააკეთეს. აქტით გააფორმეს, თითქოს ბოსლევის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობამ თერჯოლის რაიონში შეიძინა 22 ათას მანეთად ღირებული ვაზის ნამყენი. სინამდვილეში მათ თერჯოლელ კოლმეურნეებს მხოლოდ ხელწერილები ჩამოართვეს და არც ფული მიუციათ და არც ნამყენი წამოუღიათ.

კოლმეურნეობაში შრომის არასწორი ორგანიზაციისა და თავმჯდომარის უთავბოლო მოქმედების შესახებ არა ერთი და ორი მამხილებელი წერილი დაუწერიათ კოლმეურნეებს. დავუშვათ, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია არცერთ შემთხვევაში არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. საკითხავია, რატომ აყოვნებდა რაიონული კომიტეტი საკითხის განხილვას, ნუთუ უცდიდა იმას, რომ ბუზი სპილოდ ქცეულიყო?!

ბოსლეველმა კოლმეურნეებმა და მათ შორის ნიკოლოზ მჭედლიძემ, რაკი მათ სიგნალებს რაიონის ხელმძღვანელობამ ყური არ ათხოვა, „კომუნისტის“ რედაქციას მიმართეს. რედაქციამ გადაწყვიტა ადგილზე შეესწავლა საკითხი, მაგრამ რაიონულმა კომიტეტმა მოისურვა თვითონ შეესწავლა ბოსლევის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა და რედაქციას აღუთქვა, რომ შედეგებს მალე აცნობებდა.

მართლაც, რაიკომმა შექმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ ინსტრუქტორები გ. ნებიერიძე, შ. კაკაურიძე და მტს-ის აგრონომი დ. დათიკაშვილი.

ეს იყო აპრილში. კომისია ეწვია ბოსლევს, შეუდგა „მუშაობას“, მაგრამ პურმარილმა გადასძლია. დიდი ძებნის შემდეგ ნიკოლოზ მჭედლიძემ კომისიის წევრები თავმჯდომარის მიერ გამართულ მაგიდასთან აღმოაჩინა... ისინი მშრომელთა საჩივრების ნაცვლად თიკნის მსუქან ნაჭრებს არჩევდნენ!

ამ ვაი-კომისიის მუშაობა აღარ საჭიროებს კომენტარს. ამან გადაწყვიტა ნ. მჭედლიძის ბედი!

... ფიცხლავ გამოცხვა „მამხილებელი“ წერილი თვით მამხილებელ ნ. მჭედლიძის წინააღმდეგ. ამ წერილმა პარტიის ზესტაფონის რაიკომში ამოჰყო თავი. რაიკომმა არ დააყოვნა რეაგირება — ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას დაავალა საკითხის შესწავლა.

პირველადმა პარტორგანიზაციამ კი ისე „შეისწავლა“ საკითხი, რომ არც წერილის ავტორისათვის უკითხავს რამე და არც [illegible] ნ. [illegible] გის მოუთხოვიათ ახსნა-განმარტება.

მალე ზესტაფონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს სხდომაზე ვხედავთ არა გაქნილ კომბინატორსა და ხულიგან დ. მჭედლიძეს, არამედ მის მამხილებელს ნიკოლოზ მჭედლიძეს. თურმე კოლმეურნე ნ. მჭედლიძე ქვეყნის დამაქცევარი ყოფილა. სისტემატურად ჩეხდა ხე-ტყეს, სასპეკულაციოდ ხდიდა არაყს! როდის იქნა „შემჩნეული“ ყოველივე ეს? მას შემდეგ, რაც მან რედაქციას საჩივრით მიმართა!

ნიკოლოზის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებებიდან საინტერესოა არყის გამოხდის ამბავი.

ნ. მჭედლიძის ვაჟს ბოსლევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ლ. მჭედლიძემ უკანონოდ ჩამოართვა აკორდეონი. ეს აკორდეონი შემდეგ სადღაც გაქრა. ნ. მჭედლიძემ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს რამდენჯერმე მოსთხოვა გადაეხადა მისთვის აკორდეონის ღირებულება, მაგრამ ამაოდ.

შემდეგში ნიკოლოზმა თავმჯდომარეს არყის სახდელი ქვაბი სთხოვა, გამოართვა და აღარ დაუბრუნა, სანამ თავის აკორდეონს არ მისცემდა. აი სწორედ ეს ქვაბი ნახა მილიციის გამომძიებელმა სამხარაძემ ნ. მჭედლიძის სახლში და მასზე ააშენეს მთელი ბრალდება — არყის ხდა სასპეკულაციოდ, და სასამართლო პასუხისგებაში მისცეს.

რაკი პირველადი პარტიული ორგანიზაციის კომისიამ ამგვარად დააგვირგვინა მუშაობა, პარტორგანიზაციის მდივანმა კ. მჭედლიძემ კოლმეურნეობის თავმჯდომარის დ. მჭედლიძის ჩაგონებით დასვა საკითხი ნ. მჭედლიძის პარტიიდან გარიცხვის შესახებ იმ საბაბით, რომ იგი ნასამართლევი იყო!

მართლაც, 1955 წლის 5 იელისს ბოსლევის კოლმეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ ნ. მჭედლიძე პარტიიდან გარიცხა, ხოლო 6 ივლისს მისი პარტიიდან გარიცხვის საკითხი უკვე რაიკომის ბიუროს დღის წესრიგში აღმოჩნდა. საინტერესოა, რად გამოიჩინა რაიკომმა ნ. მჭედლიძის პარტიიდან გარიცხვაში ასეთი „ოპერატიულობა“, მაშინ როცა ამ შემთხვევაში საჭირო იყო პირველადი პარტორგანიზაციის გადაწყვეტილების გულდასმით შემოწმება!

იმ გარემოებამ, რომ რაიკომმა უპირინციპო დამოკიდებულება გამოიჩინა აღნიშნული საკითხების შესწავლაში, გავლენა მოახდინა ადგილობრივ პრესაზეც. ზესტაფონის რაიონულმა გაზეთმა „ლენინელმა“ დიდი ადგილი დაუთმო ბოსლევის პარტიული ორგანიზაციის ფუჭ ქება-დიდებას.

პარტიის ზესტაფონის რაიკომმა დაივიწყა პარტიული ხელმძღვანელობის მთავარი პრინციპი, რომ კრიტიკის ჩახშობა მძიმე ბოროტებაა. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ საერთო საქმის წინსვლას ხელს შევუწყობთ მხოლოდ მაშინ, თუ არა მარტო ვილაპარაკებთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის საჭიროებაზე, არამედ მოვიმარჯვებთ და ცხოვრებაში გამოვიყენებთ მას.

გ. გიორგაძე,
გ. მარუაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

კოლმეურნეობა აღმავლობის გზაზე

სოფელ ჩოჩხათის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა ლანჩხუთის რაიონის ერთ-ერთი ძლიერი კოლმეურნეობაა. მასში 750 კომლია გაერთიანებული და 1.500-მდე კოლმეურნე მუშაობს.

კოლმეურნეთა ოჯახები გამომუშავებულ შრომადღეებზე წლის განმავლობაში 40-60 ათას მანეთს, აგრეთვე სიმინდს, ხორბალს, თაფლს და სხვა პროდუქტებს იღებენ. გასულ წელს აქაურმა კოლმეურნეებმა თვითეულ შრომადღეზე მარტო ფულად 25 მანეთი მიიღეს (პრემიის ჩაუთვლელად).

კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შარშან 11 მილიონ მანეთს მიაღწია. დიდი თანხა აქვს კოლმეურნეობას განუყოფელ ფონდში. მან ააშენა ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი 36 ოთახით, მეცხოველეობის 5 ტიპური ხადგომი 500 სული პირუტყვისათვის; კოლმეურნეობის ერთი ფერმა მექანიზებულია.

შეძენილია 60 სული პროდუქტიული პირუტყვი, პირუტყვის საკვებად დათესილია 150 ჰექტარი სიმინდი, საკვები ჭარხალი, საკვები ხაზამთრო, ოგორა, კომბოსტო, ხოლო რამდენიმე ასეული ჰექტარი სათიბებს უკავია.



სოფელ ჩოჩხათის კოლმეურნეობის გამგეობის შენობა.

* * *

პირუტყვს ზამთარში საკმაოდ ექნება უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვები.

კოლმეურნეობაში შემოსავლის ძირითად წყაროს ჩაი წარმოადგენს. შარშან ამ კულტურისაგან მიღებულ იქნა 7 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი. ჩაი გაშენებულია 306 ჰექტარზე. კოლმეურნეობა წელს სახელმწიფოს ჩააბარებს ერთ მილიონ კილოგრამ ბარისხოვან ჩაის ფოთოლს. ჩაის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ბრიგადები, რომლებსაც ა. მარშანიშვილი, ტ. ჯიჯიეშვილი, დ. კვაჭაძე, ა. სარიშვილი, დ. კუპრაძე, გ. ფოფხაძე, გ. გუმბარიძე და დ. ბერიძე ხელმძღვანელობენ.

კოლმეურნეობას აქვს 103 ჰექტარი ციტრუსების პლანტაცია, ტუნგო — 145 ჰექტარი, ვენახი — 24 ჰექტარი. სიმინდის ნათესი საერთოდ 427 ჰექტარს შეადგენს.

სოფელში ჩქეფს კულტურული ცხოვრება. სოფელი მთლიანად რადიოფიცირებულია, ყველა ოჯახს აქვს რადიო. მალე დამთავრდება სოფლის მთლიანი ელექტროფიკაცია. სოფელში ერთი საშუალო, ორი რვაწლიანი და ოთხი დაწყებითი სკოლაა, არის აგრეთვე კლუბი, 3 ბიბლიოთეკა, 3 საფერშლო პუნქტი და ერთი საექიმო უბანი.

კოლმეურნეობაში წამყვან უბანზე კომუნისტები და კომკავშირელები მუშაობენ. მარტო მეცხოველეობის ფერმაში სამუშაოდ 12 კომუნისტი და 7 კომკავშირელი გაიგზავნა. 18 ბრიგადიდან 15-ს კომუნისტები ხელმძღვანელობენ, 28 მერგოლური კომუნისტია.

შ. როქვა,
კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.

სამთო-საკვლევი ლაბორატორიის მუშაობის საკითხი საქალაქო კომიტეტის ბიუროზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა მარგანეცის ტრესტის სამთო-საკვლევი ლაბორატორიის მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ სამთო-საკვლევი ლაბორატორია (უფროსი გ. დეკანოზიშვილი) ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის ტექნიკური პროგრესისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისებისათვის. ლაბორატორია თანმიმდევრულად არ ამუშავებს და ვერ წყვეტს მარგანეცის ბრეწველობის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. მთელ რიგ შემთხვევებში მის მიერ დამუშავებული თემები მოწყვეტილია პრაქტიკას.

მარგანეცის ტრესტი ნაკლებად ზრუნავს სამთო-საკვლევი ლაბორატორიის კადრებით განმტკიცებისათვის. ლაბორატორიის მუშათა შორის სუსტად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ სამთო-საკვლევი ლაბორატორიის მუშაობის გაუმჯობესებისათვის დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ჯილდო სკოლების სანიმუშოდ მომზადებისათვის

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ბუკისციხის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული სკოლები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს, დროზე შეაკეთეს სკოლების შენობები, საკმაო რაოდენობით შეიძინეს სასწავლო ნივთები და ხელსაწყოები, ზამთრისათვის მოიმარაგეს შეშა.

სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების საქმეში აქტიური დახმარება გაუწია სასოფლო საბჭომ, რისთვისაც სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე შ. კეკელიძე) ამ დღეებში გადაეცა პარტიის ჩოხატაურის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის დროშით

მეჯალურგეები უზიარებენ გამოცდილებას

9 სექტემბერს შედგა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის გაფართოებული სხდომა აქტივის მონაწილეობით, რომელმაც შეაჯამა სტალინოსა და რუსთავის მეტალურგთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ქარხნების კოლექტივების მიერ 7 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ სტალინოელთა დელეგაციის ხელმძღვანელი ინჟინერ-მგლინავი ფ. ზილოვი და რუსთავის ქარხნის დირექტორი ნ. გომელაური.

— უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობას, — განაცხადა ფ. ზილოვმა, — ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ამ ორი მოძმე რესპუბლიკის მეტალურგთა მეგობრობას „ი საძირკველი ჯერ კიდევ 10-11 წლის წინათ ჩაეყარა, როცა ჩვენს ქარხანაში მეტალურგთა პროფესიის შესასწავლად ასობით ქართველი ახალგაზრდა მოვიდა. სიამაყით უნდა შევნიშნო, რომ საბჭოთა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილმა თქვენმა ქარხანამ ბევრად ჩამოიტოვა უკანასკნელი ქარხანა — უკრაინის ერთ-ერთი უძველესი მეტალურგიული საწარმო. ახლა უკვე არა მარტო ჩვენ შეგვიძლია გაგიზიაროთ გამოცდილება, არამედ დადგა დრო, რომ თქვენგანაც ვისწავლოთ.

— თქვენი საგლინავი საამქროების დათვალიერებისას, — თქვა სტალინოელმა უფროსმა მვალცავმა ა. ჩურაკოვმა, — შეენიშნეთ, რომ წვრილსორტულ საამქროში ნაგლინის ჩამომჭრელი მოწყობილობა გაცილებით მძლავრია და ბევრად სწრაფად მუშაობს, ვიდრე ანალოგიური დანიშნულების ჩვენი ხელსაწყო. ბლუმინგის საამქროში კი განსაკუთრებით მოგვეწონა ლუმსებზე დაღის დამსმელი ახალი ავტომატი. ამ საამქროებიდან მიგვაქვს ტექნიკური ნახაზები, რომ ნაგლინის ქარხანაში ჩამოჭრა და ბლუმსებზე ავტომატური დაღდასმა ჩვენთანაც დანერგოთ. განზრახული გვაქვს აგეთვე რუსთავის მეტალურგთა მაგალითისამებრ მოვაწყოთ საბრძმედ საამქროში ძირითადი მექანიზმების ცენტრალიზებული ავტომატური შეთვა, საწიდე საჩერები, ღუმელის ბრელის ჩამკეტი და სხვ.

ა. ჩურაკოვმა, რომელსაც მგლინავად მუშაობის 29 წლის გამოცდილება აქვს, რუსთავის მეტალურგებს მრავალი საყურადღებო შენიშვნა მისცა. კერძოდ, წვრილსორტული საამქროს ჩამორჩენის ძირითად მიზეზებად მას მიაჩნია კადრების დაბალი კვალიფიკაცია, დანადგართა დიდი მოცდენები, გლინვისას დაშვებული უმიზნო პაუზები და მგლინავებს შორის ფუნქციების მოუფიქრებლად განაწილება. ა. ჩურაკოვმა რუსთაველ მგლინავებს ურჩია დანადგართა მოცდენებისა და პაუზის თავიდან აცილების მიზნით ნაგლინის ყრუ გატარება შეცვალონ ე. წ. გორგოლაჭიანი გატარებით, წნების დანა — ფორმიანი საჭრისით.

მეფოლადე ნ. ზიჩკოვმა, ინჟინერმა ი. გრაჩოვმა შენიშნეს, რომ რუსთავში ნაკლებად ზრუნავენ ინჟინერ-ტექნიკოსებისა და განსაკუთრებით წამყვანი პროფესიის მეტალურგების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. სტალინოს ქარხანაში ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება ტექნიკური წრეები, ტექნიკის სახლი რაციონალიზატორთა კაბინეტით და საქარხანათაშორისო სკოლა.

როგორც ჩანს, რუსთავში არც წარმოების ნოვატორებთან მუშაობენ დამაკმაყოფილებლად, — თქვეს სტუმრებმა, — აქ უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე შემოსული 404 რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში მხოლოდ მეათედია დანერგილი, ჩვენს ქარხანაში კი მარტო 7 თვეში 387 რაციონალიზატორული წინადადება განვახორციელეთ.

სტალინოელებმა რუსთაველ თანამოძმეებს ურჩიეს აგრეთვე სამრძმედე საამქროში მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი წარმოების აგლომერატი, შეცვალონ ღუმელის სარქველისა და საკერძის კონსტრუქცია, ღუმელში კაზმის ჩატვირთვის მეთოდი და თანამიმდევრობა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ვ. მიტასოვმა, ბრძმედის ოსტატმა მ. გორდაშვილმა, მეფოლადე ი. სამცოვმა, მგლინავმა კ. ტრედიაკოვმა მეგობრული რჩევა-დარიგებისათვის მადლობა გადუხადეს სტუმრებს და აღუთქვეს, რომ მათს გამოცდილებას გამოიყენებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის და ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდებიან პარტიის XX ყრილობას.

გ. ბელაშვილი.

«სომხეთის დილა»

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა სომეხი მწერლების ნაწარმოებთა კრებული „სომხეთის დილა“. კრებულში შეტანილია უმთავრესად თანამედროე სომეხი მწერლების უკანასკნელ წლებში დაწერილი მოთხრობები და ლექსები, აგრეთვე ზოგიერთი კლასიკოსის ცალკეული ნაწარმოებები და ნაწყვეტები.

წიგნში მოთავსებული მასალებიდან მკითხველი შეხვდება უფროსი, საშუალო და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის დაწერილ ნაწარმოებებს.

კრებულში დაბეჭდილია ხაჩატურ აბოვიანის — სომხეთის ჭრილობა, ოვანეს თუმანიანის — უძლეველი მამალი, მგზავრები, დედა, ოქროს ქალაქი, ღაზაროს აღაიანის — ლერწამა, ავეტიკ ისააკიანის — ყველაზე სასარგებლო რამ, დათვი და გველი, დერენიკ დემირჩიანის — თაგუნა პუიპუი, გურიკას მტრედები, ათაბეკ ხნკოიანის — მხუქანი თევზი, წითელი გაზაფხული, თაგვების კრება, ნაირი ზარიანის — პატრიოტი, მშვიდობის მტრედი, მოვსეს არაზის — მზე, სტეფან ზორიანის — შამო, ვანუშა, ერთი ღამე ტყეში, ჰაირაპეტ ჰაირაპეტიანის — ძია ლენინი, ალო, ენძელა, აზატ ვშტუნის — გაზაფხულის დღეები, დედის სიტყვები, ჩვენი სკოლა, ოვანეს შირაზის — გველი და ფუტკარი, ვახტანგ ანანიანის — წერო, ახალგაზრდა მონადირე, დედა ჩიტი, ხილვა კაპუტიკიანის — ალიოშა, მე და ალი, ლიას ლობიო, თუთის ხე, გარეგინ სეგუნცის — ქვის ნაჯახი, გეგორკ ემინის — ბალადა მებადურზე, წითელ მოედანზე, შოშიები, შაქე, გურგენ ბორიანის — ჩემი ცხენი, სარკე, შენა, შენა, საბავშვო მატარებელი, სარმენის — პატარა სახლი, ჩვენი ეზო, წყარო, ზარზანდ დარიანის — ჩემი დილა, რიფსიმე პოღოსიანის — ნიშანი, კლასში, არაქსის — პეტკა დაგვეხმარა, ალავნის — მშვიდობის მტრედი, ანოტ შაიბონის — სუფთოველის „დანაშაული“, ვიქტორ ვარდანიანის — სახლი, მარტიროს ქვისმთლელი, ატმის ხეები, სტეფან კურტიკიანის — ბასმიკა და რექსი, კომენდატურის თარჯიმანი, ჩვენი ფრთოსანი მეგობრები, არშავირ დარბინის — ჩიტუნიას წინდები, მოკაკანე, ბემიკ სეირანიანის — კროშკა, პიონერთა ბანაკში, ვაჰან გრიგორიანის — ჩემი სახელმძღვანელო, ძმობა, არმო მალხასიანის — ორგზის გმირი, რუბენ დარიბიანის — ფასოების ბურთი, ლუსიკას კატა, ტყის მობინადრენი, გარეგინ ბესის — სოკო, ოვანეს ღუკასიანის — ფაილუნის ანუ მარმარილოს ზღაპარი, შოღიკ საფიანის — საუკეთესო ხაჩუქარი, შაპენ თათიკიანის — რამდენი ამხანაგი გყავს?, ვაზგენ ტალიანის — მეზღვაური, ტკაცუნა, ფრინველთა კრება, ო. გულნაზარიანის — ბლინები, მკრტიჩ კორიუნის — ორი ძმა.

თარგმანები შესრულებულია არტ. დავითიანის, ს. ავჩიანის, გ. კალანდაძის, მ. ლებანიძის, გ. იმედაძის, შ. ფორჩხიძის, მარიჯან ალექსიძის, რ. მარგიანის, მაყვალა მრევლიშვილის, ხ. ბერულავას, ა. ადამიას, გ. ცეცხლაძის, ა. ონელის, ნ. ჩაჩავას მიერ.

კრებულის რედაქტორია ე. ქარელიშვილი. წიგნი ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 9 მან. 30 კაპ.

მ. სარიანის ნამუშევართა გამოფენა

დღეს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეის დარბაზებში იხსნება სომხეთის სსრ საზღვრო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, სტალინური პრემიის ლაურეატის მარტიროს სარიანის ნამუშევართა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა დიდი მხატვრის დაბადების 75 წლისთავს.

მ. სარიანი მოძმე საბჭოთა სომხეთის გამოჩენილი მხატვარია. მან შემოქმედების რთული გზა განვლო. სარიანი ერთი პირველთაგანია, რომელიც მიესალმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას სომხეთში და შეუდგა აქტიურ ნაყოფიერ შემოქმედებას სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა პერიოდის პირველი მისი ნამუშევარია ერევნის სახელმწიფო თეატრის „ფარდა“, რომელზეც შესანიშნავად არის გამოხატული სომხეთის მთის პეიზაჟი.

თუ სარიანის ოქტომბრის რევოლუციამდელი პერიოდის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა პეიზაჟს, შემდგომ პერიოდში მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პორტრეტმა. მხატვარმა შექმნა საბჭოთა სომხეთის მოწინავე ადამიანების — მწერლების, მსახიობების, მეცნიერების და სხვ. პორტრეტების მთელი გალერეა. სარიანის მიერ შესრულებული პორტრეტის სიძლიერე მდგომარეობს სახის გამოკვეთაში. ამ მხრივ გამოფენაზე ექსპონირებულ სურათებს შორის ყურადღებას იპყრობს პოეტ ა. ისაკიანის, საბჭოთა კავშირის მარშლის ი. ბაგრამიანის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. დანელიანის, სომხეთის სსრ სახალხო არტისტების ვ. ფაფაზიანისა და ა. ვოსკანიანის, აკადემიკოს ა. თაბანიანისა და სხვათა პორტრეტები. განსაკუთრებით ძლიერია ავტოპორტრეტი, რომელიც შესრულებულია დიდი სამამულო ომის წლებში.

გამოფენაზე მრავლად არის წარმოდგენილი პეიზაჟები, ესკიზები. მათ შორის შესრულების სიძლიერით გამოირჩევა „ბამბის კრეფა არარატის ველზე“, „რთველი“, „არარატი რიფსიმეს მხრიდან“, „არარატი გაზაფხულზე“, „შუადღე“, „წყაროსთან“, „ძველი ერევანი“, „უდაბნო“ და სხვ.

სარიანის ნამუშევრებიდან გამოფენაზე ექსპონირებულია აგრეთვე თეატრალური ესკიზები და გრაფიკული ნაწარმოებები. სულ წარმოდგენილია 193 ფერწერული ტილო და 220 ნახატი და გრაფიკული ნამუშევარი.

მ. სარიანის შემოქმედების ჩვენება საქართველოს დედაქალაქ თბილისში ნათლად მეტყველებს იმ ცხოველ ინტერესზე, რომელსაც ქართველი საზოგადოებრიობა მოძმე სომხეთის კულტურისადმი იჩენს.

ლ. ხუციშვილი.

იალტის მხიარული ზღვაები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

განთიადია. ათასობით დამსვენებელს ღრმა ძილით სძინავს, მრავალი იალტელი კი ფეხზეა. არა სძინავთ ნავსადგურის მტვირთავთა უბნის მუშაკებს, ავტოსადგურის მძღოლებს. 4 საათსა და 30 წუთზე იალტის ნავსადგურში შემოდის გაჩირაღდნებული გემი „უკრაინა“. გემბანზე ტვირი მგზავრია. ისინი აქ დასასვენებლად ჩამოსულან. იმავე დროს ნავსადგურიდან გავიდნენ გემები — „პეტროდვორეცი“ და „ორიონი“.

ოვიძტენ იალტის ქუჩები. მეეზოვეები ქალაქის დასასუფთავებლად გამოდიან.

განთიადისას მიხვეულ-მოხვეულ გზატკეცილზე იალტისაკენ ავტომანქანები მოდიან, მოაქვთ რძე, ხორცი, კარტოფილი, ბოსტნეული.

ლამაზი სანახავია შავ ზღვაზე მზის ამოსვლა, მაგრამ იგი განსაკუთრებით დიდებულია, თუ მას „ი-პეტრის“ მთიდან უცქერით. დილით ქუჩები ივსება დამსვენებლებით. ისინი პლაჟისაკენ მიიჩქარიან. 6 საათსა და 30 წუთზე ცოცხლდება სამკურნალო პლაჟი. აქ ღამით 200-მდე კაცი იძინებს.

ქალაქში გაიარა ველოსიპედისტთა კოლონამ — ესენი არიან ხარკოვის შრომითი რეზერვების ტექნიკუმის მოსწავლეები. მათ 2.000-კილომეტრიანი გადარბენა მოახდინეს, იალტაში რომ ჩამოსულიყვნენ.

დილის 9 საათია. საექსკურსიო ბაზა სავსეა ჩამოსულებით. ბაზის მუშაკი უ. რასკოვა ექსკურსანტებს ანაწილებს. შვიდი თვის განმავლობაში იალტის ბაზამ 3.000 ექსკურსია მოაწყო, რომლებშიც 90 ათასზე მეტმა დამსვენებელმა მიიღო მონაწილეობა.

რიგში დგანან მანქანები ნიშნებით — გურზუფი, ლივადია, სიმეიზი, ბახჩისარაი. 60-ზე მეტ ავტობუსსა და 70 ტაქსს იალტაში ყოველდღიურად მოჰყავს 1.800-მდე კაცი.

სიცოცხლე დუღს ნავსადგურში, მიმოდიან ადგილობრივ ხაზებზე მომუშავე კატერები. ყოველ 10-15 წუთში კატერები და თბომავლები გადიან სიმეიზისაკენ, გურზუფისაკენ, ლივადიისაკენ, ალუპკისაკენ, ბოტანიკური ბაღისაკენ. ზღვაზე ათასობით დამსვენებელი დასეირნობს.

ავტოსადგური. აი ჩამოდგა მანქანა. იგი ლენინგრადიდან ჩამოსული დამსვენებლებით არის სავსე. დამსვენებელთა შორის არიან ლენინგრადის სატროლეიბუსო პარკის დირექტორი ვ. კონსტანტინოვი, ტალაშოველი რკინიგზელი მ. პოდშივალოვი, ინჟინერ-დამპროექტებელი პ. იოხილონი, პეტროზავოდსკელი ტელეფონისტი მ. გლაზოვა, ზელენოგორსკელი მასწავლებელი ა. კრამენა და სხვები.

19 საათზე ნავსადგურში აგუგუნდა დიზელელექტრომავალი „როსია“. სანაპიროზე მრავალი დამსვენებელი შეიკრიბა. ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებენ შავი ზღვის ამ შესანიშნავ გემს. დიზელელექტრომავალმა ამ დღეს მოიყვანა 595 დამსვენებელი, ჩამოიტანა 31 „პობედა“ და „მოსკვიჩი“.

მხიარულად და შინაარსიანად ატარებენ დამსვენებლები საღამოებს. იალტის საზაფხულო ესტრადა მაყურებელთა საყვარელ ადგილად არის გადაქცეული. სანატორიუმებში ხშირად გამოდიან ჩამოსული მსახიობები, უჩვენებენ კინოფილმებს.

იალტაში, მის მახლობელ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველთვის მხიარულობაა.

ძნელია იმის დაზუსტება, თუ რამდენი ძალა და ენერგია შეემატა 20 ათას კაცს, რომლებიც ისვენებენ აქაურ სანატორიუმებში და ათეულათასობით უსაგზაუროდ ჩამოსულ ადამიანს. ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე გატარებულ თვითეულ დღეს უდიდესი სარგებლობა მოაქვს საბჭოთა ადამიანებისათვის.

ა. ჟუმარიტოვი.

ჯანმრთელობის ახალი კერა ქობულეთში

ქობულეთი, 7 სექტემბერი. (საქინფორმი). კურორტს შეემატა ჯანმრთელობის ახალი კერა — მომზმარებელთა სიზოგადოების სრულიად საკავშირო ცენტრალური კავშირის დასასვენებელი სახლი. ვეებერთელა ოთხსართულიანი შენობა მდებარეობს მშვენიერ პარკში ზღვის პირას.

სახლში ერთდროულად დაისვენებს 140 კაცი. დამსვენებელთა განკარგულებაშია ორი ოთახი დასვენებისა და სხვადასხვა თამაშობისათვის, მაყურებელთა დარბაზი, რადიოკვანძი, ბილიარდი. მოწყობილია საექიმო კაბინეტი. ყველა ოთახი მორთულია ძვირფასი ავეჯით. ოთახებში გაყვანილია ცენტრალური გათბობა, რაც საშუალებას აძლევს ჯანმრთელობის კერას მთელ წელიწადს იმუშაოს. ჯანმრთელობის კერის და სამეურნეო შენობების აგებასა და მოწყობაზე ორ მილიონამდე მანეთი დაიხარჯა.

დასასვენებელმა სახლმა მიიღო დამსვენებელთა პირველი ჯგუფი — სამომხმარებლო კოოპერაციის 132 მუშაკი, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან.

პიონერთა სახლი ცაგერში

ცაგერი. (საკ. კორ.). წელს რაიონის ცენტრში გაიხსნა პიონერთა სახლი, რომელიც მომსახურებას უწევს ცენტრისა და რაიონის პიონერულ ორგანიზაციებს.

პიონერთა სახლში შექმნილია 3 ფიზკულტურული, 2 მხატვრული თვითმოქმედების, აგრეთვე ფოტოშემსწავლელი წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კვალიფიციური სპეციალისტები. წრეებში გაერთიანებულია მრავალი პიონერი.

თეატრი

პიესისა და სპექტაკლის იდეური მარცხი

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა გასული სეზონის დასასრულს მაყურებელს უჩვენა ალექსაძის ლირიკული დრამა „ნანა“. თეატრის კეთილმობილურმა განზრახვამ — შეექმნა თანამედროეობის ამსახველი სპექტაკლი, — სამწუხაროდ, მარცხი განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ მაყურებლისათვის პირველ დღეებშივე ნათელი გახდა პიესისა და სპექტაკლის უსუსურობა, ნაწარმოებისა და დადგმის შეფასებაში რატომღაც აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თვალს არიდებდნენ ფესვს მაწკიერ მხარეებს და ამართლებდნენ ამ დადგმას თანამედროვე თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა ნაკლებობით.

ხელოვნების დარგის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, რომელსაც დაუკარგავს პოლიტიკური ალღო და ობიექტურობა, იქამდეც კი ავიდა, რომ თითბრიტებსა და კერძო საკუთრებაზე ქება-დიდებას ასხამდა ამ ლიტერატურულ ტოტალიტარულ ფეოდალებს. მათ დაიგიწყეს, რომ არ შეიძლება ეკუთვნოდეთ ისეთ პიესებს, სადაც დადებითი ადამიანები წარმოდგენილი არიან უსიცოცხლოდ, არა აქვთ გარკვეული მოქმედების მიზანი, სენტიმენტალურად ჩიეან და წუწუნებენ ყველაფერზე.

ალ. ალიბალიძის პიესის ნიმართ როგორც პრესაში, ისე ეზერალთა საზოგადოებრიობაში გამოთქმა საყურადღებო შენიშვნები. მოსალოდნელი იყო, რომ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელობა ჩაუფიქრდებოდა მაყურებლისა და პრესის კრიტიკულ შენიშვნებს, დაეხმარებოდა ახალგაზრდა დრამატურგს პიესის ნაკლოვანებათა დაძლევაში, გააფრთხილებდა სპექტაკლის ხარისხს. მიუხედავად ამისა, თეატრმა მიმდინარე სეზონშიც [illegible] ძველებური სახით წარმოგვიდგინა. მცდელობამ კოლექტივებმა საქმეს ვერ უშველა.

ცნობილია, თბილისის წამყვან თეატრებში [illegible] სეზონის მანძილზე მაყურებელს არ [illegible] ერთი სრულფასოვანი ორიგინალური, თანამედროვე სპექტაკლი, რომელიც [illegible] საბჭოთა ადამიანის მჩქეფარე ცხოვრებას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თანამედროვე თემატიკას ამოფარიდან ყოველგვარ დრამატულ ვარჯიშს აცდენენ [illegible] ეზერალი [illegible] ეძლევა.

[illegible] ალ. ალიბალიძის ოთხმოქმედებიანი ლირიკული დრამა საბჭოთა ოჯახის თემისადმია მიძღვნილი. [illegible] ეს დიდი და პასუხსაგები თემაა. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ამ საკითხს „უკანასკნელ წლებში რამდენიმე დადგმა მიუძღვნა და საგრძნობი წარმატებებიც მოიპოვა. მაყურებელი მოელოდა, რომ ახალი პიესა ახლებურად წარმოგვიდგენდა საბჭოთა ოჯახის მრავალფეროვან ცხოვრებას. მოხდა კი სრულიად საწინააღმდეგო.

ფარდის ახდისას მაყურებელი სცენაზე ხედავს ნანას დაღვრემილ სახეს. თავიდანვე იგრძნობა, რომ ეს ერთი შეხედვით კეთილშობილი დიასახლისი უკმაყოფილოა თავისი ცხოვრებით. მოქმედების შემდგომი განვითარება გვიჩვენებს ნანას ასეთი მოდუნების, უსიხარულო ცხოვრების მთავარ მიზეზს. ნანას მეუღლე — მიხეილ სანაძე ერთ დროს სახელგანთქმული ექიმი იყო, სამამულო ომის პერიოდში ერთ-ერთი დიდი ჰოსპიტლის ხელმძღვანელი. კარგი სახელიც ჰქონდა და სიყვარულიც იცოდა კარგი. მოხდა სასწაული. მიხეილი გალოთდა, სულიერად დაეცა, მორალურად გაიხარწა და გადაგვარდა. შეიძულა ნანაც. ჩრდილი მიაყენა საბჭოთა ოჯახს.

რამ აიძულა მიხეილი ამ მდგომარეობამდე მისულიყო? სად ჩანს ის კონკრეტული გარემო-პირობები, რომელიც ამგვარი ცვლილებები მოახდინა მიხეილის პიროვნებაში? არსად. ავტორმა ვერ შეძლო ეჩვენებინა მიხეილის ასე დაქვეითების მიზეზი ან მისი გამოსწორების პერსპექტივა. მიხეილ სანაძის ოჯახში დარღვეულია ყოველგვარი ნორმები ადამიანური ურთიერთობისა. ნანას არ შეუძლია ასეთ პირობებში დიდხანს იცხოვროს და ხსნას ეძებს. იგი ცდილობს გამოასწოროს თავისი პირველი შეცდომა, რომ ცოლად გაჰყვა კაცს, რომელიც არასოდეს არ ჰყვარებია. ერთი სიტყვით, მას გადაწყვეტილი აქვს გაშორდეს მიხეილს, დაანგრიოს ოჯახი, რომლის აღდგენის არავითარი იმედი ნაწარმოებში არა ჩანს.

სპექტაკლში არის მეორე ოჯახიც. მოწინავე მეცნიერ მუშაკს ნესტორ ცაგარელს, პატიოსან და კეთილშობილ ადამიანს, ცოლად ჰყავს აღვირახსნილი ქალი. მის ცოლს ალანერკას რომანული ურთიერთობა აქვს მიხეილ სანაძესთან. ეს ურთიერთობა წმიდა ბიოლოგიური ხასიათისაა და არავითარ მორალურ კატეგორიებს არ ემორჩილება. მიხეილ სანაძემ თავისი კარგი ამხანაგის ნესტორ ცაგარლის ოჯახიც გაანადგურა. ამრიგად, პიესაში ვხედავთ ორ ოჯახს, რომლებიც ამორალური ცხოვრების გამო დაინგრა.

ძალაუნებურად იბადება კითხვა, რატომ ასე ხასმოკლე გამოდგა ნანას და მიხეილის ცოლ-ქმრობა? რამ შექმნა ოჯახში ასეთი განხეთქილება? როგორც ნანას ბიოგრაფიიდან ვიგებთ, მას თავიდანვე უყვარდა ზურაბ შეკარდანაძე. დიდი სამამულო ომის დროს ზურაბი ფრონტზე მიეშურება. შემდეგ ფრონტიდან მისი დაღუპვის ცნობაც მოვიდა. ამას დაემატა მეორე დიდი უბედურება, ნანას მამაც ფრონტზე მტრის ტყვიის მსხვერპლი გახდა. იმნაირად ჰოსპიტლის უფროსად მყოფი მიხეილის მეშვეობით შეძლო ნანამ მამის საფლავის მონახვა და ამ სიკეთის ნიშნად თუ სხვა მოსაზრებებით საბოლოოდ თავისი ბედი მიხეილს დაუკავშირა, მას ცოლად გაჰყვა. მაგრამ არც შეუღლებამდე და არც შეუღლების შემდეგ ნანას მიხეილი არ ჰყვარებია. ნანა პატიოსანი ქალია, თითქოს მორალურად სპეტაკიც, მაგრამ მისი შინაგანი ბუნება მაინც გაორებულია, მთლიანობას მოკლებული.

ზურაბ შეკარდნაძე, რომელიც ყველას დაღუპული ეგონა, ომის დამთავრებას შემდეგ უეცრებლად დაბრუნდა შინ და ნანას სოფლის მახლობელ მთებში გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოს უფროსად დაინიშნა. ზურაბის გამოჩენა საკმარისი გახდა იმისათვის, რომ კვლავ მთელი ძალით გაღვივებულიყო ნანას პირველადელი სიყვარული. მიხეილთან მონურ ტყვეობაში მყოფმა ქალმა ზურაბ შეკარდნაძესთან მუშაობის დაწყებაში ჰპოვა შვება. კომუნისტი ზურაბი, რომელიც, პიესის ავტორისა და ცალკეულ პერსონაჟთა დეკლარაციული განცხადებით, დადებითი ადამიანია, ნანასთან შეხვედრისთანავე ამოღაენენ ძველ სიმპატიებს. ზურაბი ერთხანს თითქოს თავის შეკავებას ფიქრობს, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. სახის დრამატურგიულ განვითარებას ლოგიკურად მივყეენართ მის სიტყვებამდე: „თუ ეს გული შენსკენ გზას ვერ გადმოლახავს, დადამდეს და დალა ნუ გამთენდება“. აი როგორი ლექსებით ცდილობს ზურაბი ნანას გულის მოგებას. საბოლოოდ ნანა გაეცა მიხეილს.

პიესაში განსაკუთრებით დიდი იდეური ფუნქცია აკისრიათ ავთანდილისა და მზიას სახეებს. მათს რომანულ ურთიერთობაში უნდა ვხედავდეთ იმის ნიმუშს, თუ როგორ უნდა შეიქმნას ნამდვილი საბჭოთა ოჯახი. ავთანდილისა და მზიას თვალწინ ორი ოჯახი დაინგრა. ეს მათი ცხოვრების გაყვეთილი უნდა ყოფილიყო. მოხდა სრულიად უცნაურად. ავთანდილისა და მზიას ახალი ცხოვრება იმავე საფუძველზე აშენდა, რაც დანგრია ორი ოჯახი. მზიას ზურაბი უყვარს და უყვარს მთელი გატაცებით; ცოლად კი მაინც ავთანდილს მიჰყვება. აქ დარღვეულია ელემენტარული ლოგიკა. მაყურებლისათვის სრულიად გაუგებარია, რისი თქმა სურდა ამით ავტორს.

ნანასთან საუბარში ერთხელ მზიას წამოსცდება, რომ მას ზურაბი უყვარს. ამით შეშფოთებული ნანა სამსახურიდან გამოიქცევა. პირველი შეხვედრისთანავე მზია ნანას არწმუნებს — ზურაბი არ-მყვარებია, ვიცრუე, მე და ავთანდილს ერთი თვეა ხელი გვაქვს მოწერილი, ოღონდ გვერიდებოდა გამხელა. გამოდის, რომ მზია ავთანდილის ცოლი იყო და მაინც უყვარდა ზურაბი, ხოლო ეს სიყვარული თავისი რძლის—ნანას ხათრით დასთმო.

დაუჯერებელია მული ხელს უწყობდეს რძალს ოჯახის დანგრევაში, ძმის შეურაცხყოფაში და ყოველივე ამისათვის მაჯნურასაც სთმობდეს. ჩვენ არ ვიცით, ხდება თუ არა საერთოდ ამგვარი ფსიქოლოგიური აქტი ქალის ცხოვრებაში, მაგრამ ის კი ნათელია, რომ მთელი ეს დრამატურგიული სიტუაცია რაგორც მხატვრულად, ისე იდეურად სრული გაუგებრობაა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ავთანდილის და მზიას მომავალი ოჯახური ცხოვრება საომედო საფუძველს არ ემყარება. თუ მიხეილისა და ნესტორის ოჯახური ურთიერთობის ლოგიკას დავაკვირდებით, პერსპექტივაში ავთანდილის ოჯახსაც იგივე ბედი ელის. პოლიტიკური საბეცე და მხატვრული უმწეობა უფრო შორს ვერ წავა. ოჯახურ თემაზე დაწერილ პიესას არა აქვს არც გარკვეული იდეა და არც მორალი.

უარყოფით ადამიანებს, საბჭოთა ოჯახის შემბღალავებს პიესის ავტორმა ვერავითარი ძალა ვერ დაუპირისპირა. ის ფაქტი, რომ პიესაში უარყოფითი პერსონაჟები უფრო ძლიერია, ვიდრე დადებითი, პიესის არსებითი ნაკლია. დადებითი ტიპები აქ მოწუწუნე, უსუსური ადამიანები არიან. დრამატურგმა ვერ შეძლო მოეცა მტკიცე საზოგადოებრივი გარემო. სიცოცხლით აღსავსე, მაგრამ პიესაში გაურკვეველი დანშულების მქონე მზია, „ცხოვრებაში გზააბნეული, უსუსური ლექსების ავტორი ნიკო ლორია და კეთილი, მაგრამ მოუხეშავი, გაუთლელი ავთანდილი ახლო ურთიერთობით დადებით ზემოქმედებას ვერ ახდენენ მიხეილ სანაძისა და ნესტორ ცაგარლის დაღუპვის კარამდე მისულ ოჯახებზე. მათ ეს არც შეეძლოთ და არც განუზრახავთ.

პიესის მეორე პლანში იგრძნობა, რომ მიხეილს, ნესტორისა და ზურაბის წარსული ურთიერთობა გარკვეულ ჯანსაღ მეგობრობაზე იყო დამყარებული. ეს მკრთალად მაინც სიგრძნობია პერსონაჟთა ცალკეული რეპლიკებისა და საუბრების საშუალებით. მაგრამ მეგობრობა — ეს უკეთილშობილესი გრძნობა — პიესაში ფეხქვეშ არის გათელილი. მეგობრები ჰყვარობენ ერთმანეთის ცოლებს, ანგრევენ ოჯახებს და ქმნიან მელოდრამატულ სცენებს. უდავოა, რომ პიესაში საბჭოთა ადამიანის ეთიკა, მისი მორალური სახე დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. ჩვენ ამის წინააღმდეგი როდი ვართ, რომ პიესაში იყოს მხილებული მახინჯი მოვლენები, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მოწინავე, მაღალი მორალის ადამიანთა პოზიციებიდან. უნდა ჩანდეს მიზეზი შედეგისა.

გაუთავებელი სატრფიალო სცენებით გატაცებულ ავტორს ავიწყდება პერსონაჟთა საქმიანობა. მაყურებელმა არაფერი იცის იმის შესახებ, თუ როგორი ექიმები არიან მიხეილი და ალიანდრა, ან როგორი გეოლოგია ზურაბ შეკარდნაძე. მისი თანამშრომლებისაგან ვგესმის ზურაბის ქება, მაგრამ თავისი მოქმედებით იგი საქებარს არაფერს აკეთებს. ზურაბი სქემატური, უსიცოცხლო პიროვნებად გვევლინება. ის ოღონდ, სრულიად დაუბრკოლებლად აღწევს გამარჯვებას. სულ მოკლე ხანში მადნის საბადოები აღმოაჩინა, რასაც სხვა ინჟინრებმა ფეხი მოანდომეს და შედეგი ვერ მიიღეს. ყველაფერი ეს მოკლებულია დამაჯერებლობას და გამოგონებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ავტორი ცდილობს რაც შეიძლება მეტი იცინოს მაყურებელი, მაგრამ ამას აღწევს არა კომედიური სიტუაციების შექმნით, არამედ ცალკეული გამოთქმებით და თვითმიზნური ეფექტებით. პიესას ენა არალიტერატურულია. სცენიდან ხშირად გვესმის უხამსი სიტყვები და ისეთი დიალოგები, რომლებსაც არა აქვთ ღრამატული ქვეტექსტი, საგულისხმო სცენიური ვითარება.

პიესას მოსაწყენს და ერთფეროვანს ხდის მთელი რიგი ადგილების გაჭიანურება. დრამატურგიული თვალსაზრისით არსებობად ერთადადგევ სცენებია მიხეილის ჩხუბი ნანასთან და შემდეგ ალიანდრასთან. ასევე გამეორებულია ნანასა და მერე ზურაბის მიერ სიყვარულის ისტორიის მოყოლა. პიესაში ვერ ვხედებით გამართულ დიალოგებს. თუნდაც ერთი მაგალითი:

ნანა — (მიხეილს) ღმერთო ჩემო, ნუთუ ერთმანეთს ვერ უნდა გავუგოთ?

მიხეილი — რა არის აქ გაუგებარი?

ნანა — მამძიმს, მიშა, მამძიმს, გესმის?... დამესმარე.

მიხეილი — რა გინდა, ადამიანო, რას მიკვეთ?

ნანა — ჰო, ადამიანი ვარ, მიშა, ადამიანი!

მიხეილი — როდის გითხარი აფთარი ხარ-მეთქი, არ მეტყვი რა გინდა?

ნანა — არაფერი, მიხეილ, წადი.

მიხეილი — წავალ, ამა შენ ხომ არ დაგიჯდება!

მარჯანიშვილის სახელობის თეატრს ამ იდეურად და მხატვრულად მდარე პიესის დადგმა არ შეეძლება მოვეწონოთ, თუმცა თეატრის ნიჭიერ კოლექტივს გარკვეული მუშაობა გაუწ

პარადი და დემონსტრაცია სოფიაში

სოფია, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბულგარელი ხალხი აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს — ფაშისტური მონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლებისა და ბულგარეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-11 წლისთავს. ბულგარეთის ყველა ქალაქში გაიმართა მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციები.

დღეს სოფიაში მზიანი დღეა. დილით ადრე დემონსტრანტთა მრავალათასიანი კოლონები გაემართნენ 9 სექტემბრის მოედნისაკენ — სახალხო დღესასწაულების ტრადიციული ადგილისაკენ. პარადში მონაწილეობისათვის აქ ჩამწკრივდნენ სოფიის გარნიზონის ჯარები. სტუმრების ტრიბუნებზე არიან ბულგარეთის წარჩინებული ადამიანები, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრები, სახალხო კრების დეპუტატები, სახალხო არმიის გენერლები, უცხოთის დელეგაციები, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში ი. კ. პრიხოდოვი და სოფიაში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების სხვა მეთაურები და წევრები.

დილის 9 საათზე გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გიორგი დამიანოვი, ანტონ იუგოვი, გიორგი ჩანკოვი, რაიკო დამიანოვი, ტოდორ ჟივკოვი, ენჩო სტაიკოვი, ივანე მიხაილოვი, გიორგი ტრაიკოვი. მავზოლეუმის ტრიბუნაზე არიან აგრეთვე საბჭოთა კავშირიდან დღესასწაულზე სტუმრად ჩამოსული კ. ვ. ხრუცკი, რომელიც 1877-1878 წლებში რუსეთის ჯარების შემადგენლობაში მონაწილეობდა თურქეთის მონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლებაში, აგრეთვე პლოვდივის მე-16 საერთაშორისო ბაზრობის გახსნაზე ჩამოსული საბჭოთა დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი ვ. პ. ზოტოვი და სხვა ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები, რომლებიც პლოვდივის ბაზრობის გახსნაზე ჩამოვიდნენ.

სახალხო თავდაცვის მინისტრმა არმიის გენერალმა პ. პანჩევსკიმ ჩამოუარა ჯარებს. იგი იდგა მავზოლეუმის ტრიბუნაზე და წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის მთავრობის სახელითა და დავალებით ბულგარელ ხალხს მიულოცა 9 სექტემბრის დღესასწაული. გაისმის საარტილერიო სალუტი. შემდეგ იწყება სახალხო არმიის ნაწილების საზეიმო მარში.

პარადის შემდეგ მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა კოლონები. კოლონების თავზე დროშები ფრიალებს. დემონსტრანტებს მოაქვთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის პორტრეტები, გიორგი დიმიტროვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა პორტრეტები. მრავალი ტრანსპარანტი და ლოზუნგი, რომლებიც მშრომელებს მოაქვთ, მოგვითხრობენ ბულგარეთის დედაქალაქის მცხოვრებთა საწარმოო წარმატებებზე, მოუწოდებენ მშვიდობისათვის, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისათვის, სოციალიზმის მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის ბრძოლისაკენ. საღამოსასწაულო დემონსტრაცია რამდენიმე საათს გაგრძელდა.

თურქეთის დელეგაციამ დაბოვა ლონდონი

ლონდონი, 9 სექტემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზორლუ და თურქეთის დელეგაციის სხვა წევრები სტამბოლს გაფრინდნენ მას შემდეგ, რაც შეწყდა სამი სახელმწიფოს მოლაპარაკება კვიპროსის საკითხზე.

ზორლუმ უარი თქვა რაიმე კომენტარი გაეკეთებინა იმის გამო, რომ წარუმატებლად დამთავრდა ინგლისის, საბერძნეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება კვიპროსის სტატუსის შესახებ.

დამთავრდა ბრიტანეთის ტრედუნიონთა 87-ე კონგრესი

საუთპორტი, 9 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საუთპორტში დამთავრდა ბრიტანეთის ტრედუნიონთა 87-ე ყოველწლიური კონგრესი.

კონგრესის მეთვალყურენი და ბურჟუაზიული პრესაც კი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გენერალურმა საბჭომ ბევრ საკითხში კონგრესს სრულიად არარეალური გადაწყვეტილებანი მოახვია თავს. მაგალითად, გენერალურმა საბჭომ უარყო ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის რეზოლუცია, რომელიც გმობდა ხელფასის გაყინვის პოლიტიკას. ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის წესდების ცვლილებას, რომელიც თავს მოახვიეს კონგრესს და რომელიც გენერალურ საბჭოს უფლებას ანიჭებს პროფკავშირთა მაგიერ გადაწყვიტოს გაფიცვების საკითხი, მკვეთრი ოპოზიციით შეხვდა ბევრი დიდი პროფკავშირი. დამახასიათებელია, რომ მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის რეზოლუციამ, რომელიც მოითხოვს სხვა ქვეყნების პროფკავშირებთან საქმიანი კონტაქტის დამყარებას, ახლანდელ კონგრესზე თითქმის 3,5 მილიონი ხმა მოაგროვა. შარშანდელ კონგრესზე რეზოლუციამ ანალოგიური საკითხზე ორ მილიონზე ნაკლები ხმა მოაგროვა.

კონგრესის მიმომხილველები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მუშათა მისწრაფების გაძლიერება სხვა ქვეყნების მშრომელებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისადმი შეესაბამება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ამოცანას ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგად. ამასთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს გენერალური საბჭოს წევრთა პოზიცია, რომლებმაც მტკიცედ გაილაშქრეს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ. მათი პოზიცია ემთხვეოდა ამერიკის შრომის ფედერაციის დელეგატთა გამოსვლებს, რომლებმაც საკმაოდ უხეში ფორმით გამოთქვეს აზრი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პროფკავშირებთან რაიმე თანამშრომლობის წინააღმდეგ.

იმას, რომ ასეთი პოლიტიკა არ შეესაბამება ინგლისის პროფკავშირთა მილიონობით წევრის ინტერესებსა და მისწრაფებას, მიუშმობენ არა მარტო მის წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა, არამედ ის საკადრისი მკვეთრი პასუხიც, რომელიც ორატორთა უმრავლესობამ „ცივი ომის“ განგრძობის მჭადაგებლებს გასცა.

მშვიდობისადმი ინგლისელ მშრომელთა მისწრაფებას ადასტურებს მათ მიერ შეტანილი მრავალი რეზოლუცია, რომლებიც გენერალური საბჭოსაგან მოითხოვენ განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომლის მიზანია ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცება.

ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის რეზოლუციები

საუთპორტი, 9 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ბრიტანეთის ტრედუნიონთა ყოველწლიური კონგრესის საბოლოო სხდომაზე მიიღეს მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებიც მოუწოდებენ შეანელონ საერთაშორისო დაძაბულობა. ერთ-ერთი ასეთი რეზოლუცია მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ მხარი დაუჭიროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. შეიტანა რა ეს რეზოლუცია, მუსიკოსთა პროფკავშირის დელეგატმა ფრენსისმა განაცხადა, რომ უაზრობაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი წაართვეს დედამიწის მოსახლეობის მეოთხედის წარმომადგენლებს და ამავე დროს იქ დაშვებულ იქნას „ავანტიურისტთა ბანდა, რომელთა ერთადერთი დასაყრდენია უცხოეთის დახმარება“.

მეორე რეზოლუცია მოითხოვს ფართოდ გამოიყენონ ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება იმისათვის, რომ ცივ ომს „ერთხელ და საუდამოდ“ ბოლო მოეღოს.

კიდევ ერთი რეზოლუცია მოუწოდებს მთავრობას დაუყოვნებლივ მიიღოს სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების ღონისძიებანი.

მეშახტის დღე ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 9 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დავშათა საადგენტო იუწყება, რომ 8 სექტემბერს პრაღაში გაიმართა მეშახტის დღის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა. საზეიმო სხდომას დაესწრნენ ქვანახშირის შახტებისა და მაღაროების საუკეთესო მუშაკები, მთავრობისა და ეროვნულ ფრონტში შემავალი ყველა პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაღაროელთა დელეგაციების ხელმძღვანელები.

სხდომაზე სათბობი მრეწველობის მინისტრმა იოზეფ იონაშმა შეაჯამა მაღაროელთა და ტექნიკოსთა მუშაობის შედეგები და აღნიშნა, რომ ქვანახშირის ამოღების გეგმა 1954 წელს შესრულებულია, მეშახტეებმა გეგმის გადაჭარბებით ამოიღეს 1.373 ათასი ტონა ქვანახშირი. ქვანახშირის ამოღების გეგმა მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში შესრულებულია 100,2 პროცენტით. ამასთან ქვანახშირის ამოღება გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გადიდდა 5,7 პროცენტით.

იონაშმა აღნიშნა, რომ სათბობ მრეწველობაში ვითარდება სოციალისტური შეჯიბრება და რომ შეჯიბრების მსვლელობაში იზრდებიან მშვენიერი მუშაკები, თავიანთი პროფესიის ნამდვილი ოსტატები.

შემდეგ პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ იარმარი დოლანსკიმ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ზაპოტოცკის სახელით რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდამავალი დროშა გადასცა იან შვერმას სახელობის შახტის მაღაროელებს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ეროვნული ფრონტის მთავრობის სახელით იარმარი დოლანსკიმ მაღლობა გადუხადა მეშახტეებსა და მაღაროელებს თავდადებული მუშაობისათვის.

საზეიმო სხდომის დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეშახტეთა საკარხნო კლუბების წევრებმა.

XVII ჩემპიონატის ფინიშთან

ხუთმა თვემ მძაფრ ასპარეზობაში განვლო. უკან დარჩა საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრები — ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა 12 უძლიერესი კოლექტივის 120 მატჩი.

წინა ჩემპიონატებთან შედარებით, მიმდინარე პირველობა საბჭოთა ფეხბურთის ახალი აღმავლობით ხასიათდება. ამაზე მეტყველებენ სსრ კავშირის პირველობისა და თასის გათამაშების კალენდარული მატჩები, საერთაშორისო შეხვედრები.

მალე „ა“ კლასის გუნდები შეაჯამებენ განვლილი ბრძოლის შედეგებს, სათანადო ღონისძიებებს დასახავენ შემდგომ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ეს მოხდება დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ოქტომბრის პირველი ნახევრისათვის.

როგორია მდგომარეობა XVII ჩემპიონატის ფინიშთან, ვინ იქნება სსრ კავშირის 1955 წლის ჩემპიონი?

საპრიზო ადგილების უდავო პრეტენდენტები არიან დედაქალაქის გუნდები — „დინამო“, „სპარტაკი“, ცდსა, რომლებმაც დიდად გაუსწრეს დანარჩენ მეტოქეებს. ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ მოვიგონებთ, რომ გასულ თექვსმეტ პირველობაში მხოლოდ ეს გუნდები იყვნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები. მოსკოვის დინამოელებმა ექვსჯერ დაიკავეს პირველი ადგილი, სპარტაკელებმა და არმიელმა ფეხბურთელებმა — ხუთ-ხუთჯერ.

ამ სამეულში ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი აქვს მოსკოვის „დინამოს“, რომელიც თამაშის თანაბარი ოდენობით 3 ქულით უსწრებს „სპარტაკსა“ და ცდსა-ს. ეს გუნდი 20 თამაშიდან შეგროვებული 32 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში დგას. მოსკოვის „დინამოს“ დაკარგული აქვს ყველაზე ნაკლები — 8 ქულა.

დინამოელთა მონოლითურ კოლექტივში პირველ რიგში გამოირჩევიან ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იაშინი, დაცვის ხაზი, სწრაფი გარემარბები შაბროვი და რიეკინი. შარშანდელთან შედარებით სუსტია ნახევარდაცვა.

თითქმის ერთნაირი მდგომარეობა აქვთ „სპარტაკსა“ და ცდსა-ს. ოცი თამაშიდან თვითეულ მათგანს შეგროვებული აქვს ოცდაცხრა ქულა. ბურთების შეფარდების მცირე უპირატესობით წინ არის „სპარტაკი“. ცდსა-სა და „სპარტაკის“ მეორე წრის მატჩი, რომელიც ფრედ (2 : 2) დამთავრდა, მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური თამაში იყო. წელს სპარტაკელებმა სუსტი სტარტი აიღეს. ისინი საბრძოლო ფორმაში მხოლოდ პირველი წრის ბოლოს ჩადგნენ. არმიელმა ფეხბურთელებმა თანაბარი სიძლიერით ჩაატარეს მატჩები.

დედაქალაქის სპარტაკელთა რიგებში გამოირჩევა თავდამსხმელთა ხუთეული ტატუშინის, ისაევის, პარშინის, სალნიკოვისა და ილინის შემადგენლობით. შემთხვევითი რადი იყო ის გარემოება, რომ მსოფლიო ჩემპიონის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივის ხუთეულში მთლიანად „სპარტაკის“ თავდამსხმელები თამაშობდნენ. თუ ლიდერს — მოსკოვის „დინამოს“ მიღებული აქვს ყველაზე ნაკლები (14) ბურთი, სამაგიეროდ დედაქალაქის „სპარტაკს“ გატანილი აქვს ყველაზე მეტი (51) ბურთი. საერთო ინტერესს იწვევს ამ ორი გუნდის მეორე წრის მატჩი, რომელიც 2 ოქტომბერს გაიმართება.

წელს თავდამსხმელთა შორის ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა „სპარტაკის“ ცენტრალური შუამარბი პარშინი. მან მოწინააღმდეგეთა კარში 13 ბურთი გაიტანა, ე. ი. იმაზე მეტი, ვიდრე მინსკის „სპარტაკმა“ მთლიანად. 12 ბურთი გატანილი აქვს სტრელცოვს („ტორპედო“), 10 ბურთი — სალნიკოვს.

არანაკლები ინტერესით მიმდინარეობს მომდევნო — მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილებისათვის ბრძოლა, სადაც ერთმანეთს ეცილებიან მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და „ტორპედოს“ (23-22 ქულა), აგრეთვე კიევის „დინამოს“ (19 ქულა) გუნდები. ოც-ოცი თამაშიდან ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი ქულა აქვთ სტალინოს „შახტიორსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“.

საკავშირო პირველობის რვაგზის პრიზიორი თბილისის „დინამო“ უკანასკნელ ორ ჩემპიონატში ცუდად თამაშობს. თუ წინათ დინამოელებს თითქმის ყოველთვის ლიდერთა რიგებში ვხედავდით, წელს ისინი გათამაშების ცხრილის ჩამკეტთა შორის აღმოჩნდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დინამოელები „ა“-დან „ბ“ კლასში გადასვლის კანდიდატთა რიგებში იყვნენ, მაგრამ 9 სექტემბრის „ტორპედოსთან“ მატჩის ფრედ (1 : 1) დამთავრებით „დინამომ“ ჯერჯერობით თავი დააღწია ხაშშ ზონას. დღეისათვის თბილისის დინამოელებს 21 თამაშიდან შეგროვებული აქვთ 16 ქულა და მე-9 ადგილზე იმყოფებიან. უკანასკნელ მატჩს ისინი გამართავენ თავიანთ მოედანზე მოსკოვის „სპარტაკთან“ 7 ოქტომბერს. გუნდი მთელ სეზონში არათანაბრად თამაშობდა, ვერ მოხერხდა მისი ძირითადი შემადგენლობის დადგენა.

გასული წლის პრიზიორი მინსკის „სპარტაკი“ „ბ“ კლასში გადასვლის პირველი კანდიდატია. 20 თამაშიდან სპარტაკელებმა მხოლოდ 2 მატჩი მოიგეს, 6 ფრედ დაამთავრეს და 12 წააგეს. 10 ქულით ისინი უკანასკნელ, მე-12 ადგილზე იმყოფებიან. „ა“-დან „ბ“ კლასში გადასვლის კანდიდატია აგრეთვე კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“. ლენინგრადის „შრომითი რეზერვებმა“ ჩემპიონატი 16 ქულით დაამთავრა და მეათე ადგილზე იმყოფება.

ასეთია „ა“ კლასის გუნდების მდგომარეობა დღემდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით. წინ არის 12 დასკვნითი, საინტერესო მატჩი. ეს შეხვედრები გამოავლენს საუკეთესოთა შორის უძლიერესს, რომელიც გარდამავალ დროშას, სსრ კავშირის ჩემპიონობას და ოქროს მედლებს მოიპოვებს.

ვ. გაბელია.

მოსკოვში ჩამოვიდა დანიის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია

10 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა დანიის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია. მას მეთაურობს სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. სმერუმი. დელეგაციის შემადგენლობაშია 16 კაცი—დანიის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები, ფერმერები.

ლენინგრადის ვაგზალში ჩამოსულთ შეხვდნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ა. ი. ბოვინი და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები. დელეგაციას შეხვედნენ დანიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ა. მერკი. ა. ი. ბოვინი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და მათი სახით მთელ დანიელ ხალხს.

დელეგაციის მეთაურმა დანიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. სმერუმმა თავისი სახელით და დელეგაციის ყველა წევრის სახელით გულთბადი მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, რაც დელეგაციას მოუწყეს. „ჩვენ ყველანი პირველად ვართ საბჭოთა კავშირში, — თქვა მან, — და ეს მგზავრობა ჩვენთვის დიდი სახარულია“.

იმავე დღეს დანიის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია მიიღო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ პ. ს. კუჩუმოვმა. (საკდესი).

საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია კანადაში

ოტავა, 9 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ეწვია ქალაქ კემბტელის სასოფლო-სამეურნეო სკოლას, რომელშიც ახალგაზრდობას ასწავლიან ფერმერის მეურნეობის გაძღოლას. სკოლა წელიწადში ექვს თვეს მუშაობს.

საღამოს საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია იყო სადილზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა კანადის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. გარდა დელეგაციის წევრებისა, სადილზე იყვნენ აგრეთვე სსრ. კავშირის ელჩი კანადაში დ. ჩუვახინი და საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

კანადის მხრივ სადილზე იყვნენ კანადის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი რობერტ უინტერსი, კანადის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ტეგარტი, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბული, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ეგნონი, ქალაქ ოტავის მერი შარლოტა უიტონი, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მეცნიერები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კანადელი და უცხოელი კორესპონდენტები.

სადილზე საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის წევრებს მიესალმა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი უინტერსი. კანადის მთავრობისა და ხალხის სახელით მან თავის სიტყვაში რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის ყოფნა კანადაში სასარგებლო იქნება როგორც კანადელი, ისე საბჭოთა ხალხებისათვის.

სადილმა გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

ვარშავა, 9 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დაიწყო პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების ტრადიციული ერთთვიური. პოლონეთის ქალაქებსა და სოფლებში, სამრეწველო საწარმოებსა და კულტურის სახლებში გაიმართა ერთთვიურის გაზსნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები და საღამოები.

დღეს ყველა ცენტრალური გაზეთი აქვეყნებს ერთთვიურის დაწყებისადმი მიძღვნილ მოწინავე და სარედაქციო სტატიებს. „ტრიბუნა ლიუდუ“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული პოლონელ ხალხში საბჭოთა კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. 1953-1955 წლებში პოლონეთში გამოიცა რუს კლასიკოსთა და საბჭოთა მწერლების 2 ათასზე მეტი ნაწარმოები. მათი საერთო ტირაჟი 32 მილიონ ცალს აღემატება. ამ წლებში თეატრებმა დადგეს 140-ზე მეტი რუსული და საბჭოთა პიესა.

საბჭოთა კავშირთან ჩვენი მეგობრობის განმტკიცება, აღნიშნავს „ტრიბუნა ლიუდუ“, ჩვენი წელია მშვიდობისათვის მსოფლიო ბრძოლაში, ჩვენი დამოუკიდებლობის საუკეთესო გარანტიაა, ჩვენი იარაღია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლენტეხის რაიონის სოფელ ჯახუნდერში დგახ ათასწლოვანი ცაცხვის ხე. მისი დიამეტრი 4,5 მეტრია, სიმაღლე 55 მეტრი. სურათზე: ცაცხვის ხე ჯახუნდერში.

ფოტო შ. გოქაძისა.

ახალი კადრები მრეწველობას

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს თბილისის ტექნიკურ სასწავლებელში ერთი წლის განმავლობაში ზეინკლის, ხარატის, მეიარაღის, მლამავის, ტექნიკური კონტროლიორის და სხვა პროფესიებს დაეუფლა 280 ახალგაზრდა. 15 სექტემბერს დაიწყება მათი გამოშვება.

სასწავლებელმა დაიწყო ახალი ნაკადის მიღება. წელს მისაღებია კონტინგენტი საგრძნობლად გაიზარდა. მიღებულ იქნება 325 საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა.

ქუთაისში საავტომობილო ქარხნის ბაზაზე იხსნება ახალი ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც მუშაობას შეუდგება ოქტომბრიდან.

ახალი მოსავლის ხილის კონსერვი, ჯემი, მურაბა

მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი საქართველოს კონსერვტრესტის საწარმოების პროდუქცია — ჯემი, მურაბა, ხილფაფა, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები. გორის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, სამტრედიის, ზუგდიდის და სხვა საკონსერვო ქარხნებმა მიმდინარე წლის 8 თვეში უკვე გამოუშვეს 84.564.000 მანეთის პროდუქცია. დამზადდა 1.325.000 ქილა ბოსტნეულის ნატურალური და 334.000 ბოსტნეულის სასაუზმე კონსერვები, მილიონნახევარზე მეტი ქილა ტომატი, 10 მილიონამდე ქილა ტყემლის, ბლის, ქლიავის, მსხლისა და სხვა კომპოტები, ორი მილიონი ქილა კაკლის, ალუბლის, ბლის, ტყემლის, ქლიავის, მსხლის, ლეღვის მურაბა, დიდძალი ჯემი, ხილფაფა, ხილის სოუსი, ხილისა და ბოსტნეულის მარინადები და სხვ.

მზა პროდუქცია დიდი რაოდენობით — 50 მილიონზე მეტი ქილა — გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, შორეულ აღმოსავლეთში, არქტიკაში, უკიდურეს ჩრდილოეთში, აგრეთვე სსრ კავშირის ბევრ სამრეწველო ოლქებსა და ცენტრებში.

სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი

ენერგეტიკული მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს გამგეობა და რკინიგზელთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ამიერკავკასიის განყოფილება აწყობენ საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურ თათბირს რკინიგზის ელექტროფიკაციის საკითხებზე. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ გზათა, ელექტროსადგურების, ელექტროტექნიკური მრეწველობის საკავშირო სამინისტროების სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების, ქარხნების, რკინიგზის საწარმოებისა და სხვათა წარმომადგენლები.

თათბირი გაიხსნება 12 სექტემბერს საღამოს 8 საათზე მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის, 29).

დღის სინათლის ნათურები

მოსკოვის მაგალითისამებრ თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მარჯანიშვილის სახელობის სტადიონის სახელობის ნიადაგზე, აგრეთვე ა. წერეთლის ქუჩაზე — ლენინის სახელობის მოედნიდან ლერმონტოვის ქუჩის გადაკვეთამდე, გამოსაცდელად მოაწყო დღის ნათელი სინათლის ნათურები, სულ 15 კომპლექტი. თვითეულ კომპლექტშია 4 ნათურა-მილი.

ზაფხულის პერიოდში ქუჩებში ხელოვნურმა დღის სინათლის ნათურებმა კარგი შედეგები გამოიღო, ამავე დროს ეს ნათურები ლამპანა, იძლევა მკვეთრ და თანაბარ სინათლეს და ჩვეულებრივ ნათურებთან შედარებით 2,5-ჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს.

ამჟამად ამ ნათურებზე წარმოებს დაკვირვება ტემპერატურის ცვლილებებთან დაკავშირებით. ზამთარში დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღების შემთხვევაში ასეთი ნათურები მასობრივად დაიდგმება თბილისის ქუჩებში და მოედნებზე.

ტანსაცმლის 60 ახალი მოდელი

შემოდგომა-ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საქართველოს მოდელების სახლის მოდელიორი-კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს და წარმოებას გადასცეს ასათვისებელი ყველა სახის ტანსაცმლის 25 ახალი მოდელი.

მოდელების სახლთან არსებობს სამკერავი სამკერო, სადაც დიდი რაოდენობით იკერება საბავშვო ტანსაცმელი, აგრეთვე რთული ფასონების კაბები.

სადემონსტრაციო დარბაზში სეზონის მიხედვით მოწყობილია ყველა სახის ტანსაცმელი. მუდმივი გამოფენა და ცოცხალი მანეკენები ჩვენება. გარდა ამისა მოდელების სახლმა ბაღხულში ადგილებზე მოაწყო რამდენიმე მოძრავი გამოფენა.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 12 დ 13 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა სამხრეთ რაიონებში დროგამოშვებით წვიმა, აღმოსავლეთის სუსტი, რაიონის ხეობაში ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 13-18, დღისით 22-27 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 17-22 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით წვიმა, უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 12-17, დღისით 20-25 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 6-11, დღისით 14-19 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი (დილას), დონ კიხოტი (საღამოს), ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის — გლახის ნაამბობი (დილა-საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — მაია წყნეთელი (დილას), მარიამ სტეფარტი (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — ინსპექტორი (დილას), ბატონი ტომაზი (საღამოს), სომხური დრამის — სასიძოები (დილა-საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული—ამავე ორი პიესა (12 ს. და 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — მედოლის ბედი (11 ს, 3 ს. და 30 წ.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი — წყლის ვარსკვლავები, თბილისი, ისანი (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), დიდუბე (საზამთრო), ვოროშილოვის სახელობის კლუბი — თავადის ასული მერი, ამირანი (საზაფხულო), კოლხიდა (საზამთრო), ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი — დონ ჟუანი, დიდუბე (საზაფხულო), კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი — სიყვარულის ასაკი, სპარტაკი — ჭირვეული მარიეტა, კომკავშირელი — ახალი მხატვრული ფილმი, კოლხიდა (საზაფხულო) — სილვა, ისანი (საზაფხულო) — ხტუნია, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — შემთხვევა ბაზრობაზე, კიროვის სახელობის პარკი — მეშვიდე ცა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

რუსთაველის სახელობის თეატრში

12 სექტემბერს

გაიმართება ლენინგრადის ესტრადის ორკესტრის

კონცერტი

ა. ბათიენის ხელმძღვანელობით და კონმასხიომ გლებ რომანოვის მონაწილეობით. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში

12 სექტემბერს

მოლდავეთის სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლის — ახალგაზრდობის მე-4 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის

კონცერტი

მოლდავეთის სსრ სახალხო არტისტის შ. არანოვის მხატვრული ხელმძღვანელობით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

ბოქალაქე ივანე ალექსანდრეს-ძე თეიმურაზოვმა, მცხოვრებმა თელავის ქ. № 33, აღძრა საქმე თელავის ქ. № 27 მცხოვრებ მოქალაქე ანგელინა ვასილის ასულ ციხისელთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-10 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება

ილია ივანეს-ძე ქეშელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-IX, 8 ს. გა. მოსვენება 13-IX, 5 ს. დეპუტატის ქ. № 32.

შვილები რაფდენ, გრიშა, თამარ, ვარდენ, დ ვერა ოჯახებით იუწყებიან

ვარლამ დავითის-ძე იაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-IX სოფელ ტყაჩირში (ქუთაისის რაიონი).

მეუღლე ოლია, შვილები ოლია, მერი, ბაბელია, გუგული, ემიკო, თალიკო, ალფენ, დ მატრონა, ძმა სეით ოჯახებით იუწყებიან

ალფენ ალმასხანის-ძე ბერაძის

გარდა